შევეცდებით, ძალიან მარტივად და წიგნიერი ადამიანისათვის გასაგები და მისაღები ენით განვმარტო და გავაშიფრო დღეთაგორი იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველების ტექსტი „**ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი**“. ო ეს ტექსტი (10 კუპლეტი) გადმოსცემს ძველი და ახალი აღქმის, წინასწარმეტყველთა წერილების, წმიდა მამათა ფილოსოფიურ-თეოლოგიური სიბრძნის, მითოსისა და მითოლოგიის, იგავთა, აღგუორიათა ყველა საიდუმლოს გასაღებს. გენისობა იოანე ზოსიმემ 150 სიტყვაში ჩაატა სამყაროს არსებობის შემოქმედი საიდუმლოს შინაარსი. გასაოცარია, მაგრამ ეს ობიექტური რეალობაა.

თანამედროვე მსოფლიოში სამღვდლოება, მეცნიერება და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანთა სიბრძნის ხარისხი ვერ სწავდება ბიბლიური კოდის – ქართული დამწერლობისა და სამება ენის მარტივ ლოგიკას, მარტივი რთული ჰგონია, რადგან ვერ წარმოუდგენიათ ათმა ციფრმა და ორმოცმა ასო-ბეგერამ ანუ 10+40=50 კოდურმა მატრიცამ, როგორ სეიდლება სამყაროში მიმდინარე პროცესები დაიტოვოს?! 50 კოდური მატრიცის ინფორმაცია თავის თავში იტევს უკიდვანო სამყაროს შინაარსს, ამიტომ გვეუბნება გენიოსი რუსთაველი: **„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.**

„დამარხულ არს ენაი ქართული,
დღემდე მეორედ მოსვლისა, მესიისა
საწამებლად,
რათა ყოველსა ენასა,
დემერთან ამხილოს ამით ენითა“.

კომენტარი: თავდაპირველად დავადგინოთ, თუ რას ნიშნავს „**ენა ქართული**“. ბიბლიური გაგებით, ენაში იგულისხმება ადამიანის (კაცობრიობის) დაბადების, მოქმედებისა და ცხოვრების პროცესი, წელიწადის ოთხი დროის, ყველაფრისა და ყოველივეს გარდაქმნის პროცესი, ბუნების ქორწილის, ციურ სხეულთა მოძრაობა-დაბადებისა და უკიდვანო სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი არის ღვთის მოაზროვნე სულის **ენა მატრიცული** პროცესი. რასაც კი მამა ღმერთი ფიქრობს და გაიაზრებს, ის ხდება და აღსრულებს სამყაროში. კაცობრიობა (ისრაელის 12 ტომი) მეტყველებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ მრავალ ენაზე, შესაბამისად, თითოეულ ენას ჰქვია რაღაცა სახელი: რუსული, ბერძნული, გერმანული, ქართული და ა.შ.

2012-2015 წლებიდან იწყება ბიბლიური აპოკალიფსის აღსრულების დრო (ჟამი). დროის მოცემულ მონაკვეთში კაცობრიობას ღვთის ნებით უდგება სულიერი სიმწიფის ქრისტეს VII ეკლესიაში შესვლის ხარისხი. კაცობრიობის სულიერ-სხეულგებრივი სიმწიფის მოცემულ მდგომარეობას, ბიბლიური ალეგორიით, ეწოდება ღმერთის დასვენება ყოველი საქმისაგან მეშვიდე დღეს, ანუ ბიბლიური შაბათის მოსვლა და მამლის ყიფილი გულისხმობს ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს დელამი-

წაზე და ქართული სამება დამწერლობითა და სამება ენით კაცობრიობის ზიარებას ღვთის შვიდი საიდუმლოს ტაბუზე.

ერთადერთი მხსნელი კაცობრიობისა არის მესია (იესო ქრისტე), რომელიც ფლობს კაცობრიობის შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი სულის კიდობნის ერთადერთ გასაღებს, ანუ „**სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საიდუმლო გასაღები**“ დამარხულია, შენახულია ქართულ სამება დამწერლობასა და სამება ენაში, რომელიც არის კაცობრიობის შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი სულის **კოდონის** (ინფორმაციის წიგნის) გასაღები, რომლის საიდუმლო **კოდი** (გრიფი) იცის მხოლოდ **მესიამ** (იესო ქრისტემ).

ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი იოანე ზოსიმე: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა „(ქართულსა) შინა დამარხულ არს და ყოველსა ენასა ღმერთმან (იესომ) ამხილოს ამით (ქართული) ენითა“.

ახლა უფრო ჩავუღრმავებთ ბრძენი იოანე ზოსიმეს „ქებაის“ ტექსტის შინაარსს: **„დამარხულ არს ენაი ქართული“.** სიტყვა (კოდი) „დამარხული“ გულისხმობს მკვდარს, რომელიც მარხულობს, რათა აღდგეს და მარადიულ სიცოცხლეს დაუბრუნდეს. დამარხული“ აგრეთვე ნიშნავს რაღაც დიდ საიდუმლოს, რომელიც შენახულია დადგენილ ჟამამდე. ქართული ენა დამარხულია ქართულთა აზროვნებაში და მან გამოიარა 16 ათასწლიანი განწმენდა და აღდგომა, რათა ქრისტეს მეორედ მოსვლისას მიიღოს წილი – ქრისტეს კვართი. ნებისმიერ თესლს მიწაში (დედის რჯულში) მარხავენ, რათა ღვთისგან დადგენილ ჟამს აღმოცენდეს ანუ აღდგეს. ქართულ ენას ქართველები **დღეა ენას** უწოდებენ. ამრიგად, ქართველთა დედაენაში დამარხულია ღვთის საიდუმლო ინფორმაციის გასაღები, რომელიც ქრისტეს მოსვლის წინა დღეებში აღდგება-აღმოცენდება და ეს ღვთიური ინფორმაცია საჯარო გახდება ჯერ ქართველებისათვის, შემდეგ კი მთელი კაცობრიობისათვის.

და, რაც მთავარია, ქართული დამწერლობითა და ენით შედგენილია მამა ღმერთის მარადიული სიცოცხლის ინფორმაციის წიგნი (მარადიული სახარება), რომელიც ინფორმაციის სახით დამარხულია და დაძინებულია თითოეულ ადამიანში, ცოცხალი და გარდაცვლილი კაცობრიობის სულში, რომლის ერთადერთი გასაღებია ქართული სამება დამწერლობა და სამება ენა, რომელსაც უნარი აქვს კაცობრიობის ხორცის სხეული (წყალი) აღადგინოს სულის ფოტონურ-ლაზერულ უხრწნელ სხეულად (ღვინოდ). ამინ!

გენიოსი იოანე ზოსიმეს საიდუმლო ტექსტი გვეუბნება, რომ ქართულ დამწერლობასა და ენაში დამარხული ღვთის საიდუმლოს განახლება, გაშიფრვა, გაშლდება და იწყება „**დღემდე მივრდი მოსვლისა მესიისა საწამებლად**“. ქრისტეს მეორედ მოსვლა, წმიდა ბიბლიის ინფორმაციით, უნდა მოხდეს ნოემბერ 11-ის დღის ორსა და ოთხს შორის 8X1000=8000 წელს; აბრაამიდან ათეული ოთხი დღის შემდეგ 4X100=4000 წელს; ქრისტეშობიდან ათეული 2 დღის შემდეგ 2X1000=2000 წელს, ამას უნდა დაემატოს 12 წლის ქრისტეს რწმენის დონე, რომელიც კაცობრიობის სულიერად ყველაზე მომწიფებულმა ნაწილმა უნდა მიიღოს 2000-2012 წლებში. ქრისტეს გარეშე კაცობრიობას უნარი აქვს გააღოს მასში არსებული მარადიული სიცოცხლის ინფორმაციის წიგნი (მარადიული სახარება). შესაბამისად, უნარი არა აქვს ხრწნადი ხორცის სხეული (წყალი) გადააქციოს უხრწნელ ფოტონურ-ლაზერულ სასუფევლის სხეულად (ღვინოდ).

ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი პავლე მოციქული: **ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს უფალ იესო ქრისტეს, რომელიც ჩვენს დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის მსგავსად, ძალისხმევით შეძლებს ყოველივე თავის თავს დაუმორჩილოს“.** (ფილ.3, 20-21).

მზრმან ხუზულაშვილი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



„**ლამსალ ძველი მარბალიტაპი**“

ამ სახელწოდებით გამოვიდა პოეტ ვიქტორ გოგუშვილის-საკაძის ლექსების კრებული. რომელიც უკვე მრავალი ქართული პოეზიის მოყვარულთა წიგნის თაროებს.

არ შეიძლება გულგრილი დარჩეთ მისი ლექსების წაკითხვის შემდგომ და არ ჩაგაფიქროთ, თუნდაც წამით, ჩვენი ქვეყნის წარსულსა თუ მომავალზე, მის ტივილსა თუ სიხარულზე.

ოცდახუთ ოქტომბერს ამ უმწვენიერეს ქალბატონს 60 წელი უსრულდება, რომელსაც წლები ვერაფერს აკლებს.

მისი ლექსების გაცნობა შესაძლებელია ელ.მისამართზე: dSPACE.NPLG.GOV.GE

ეწესურვებთ დღეგრძელობას, მხნეობასა და სიყვარულს პოეზიის ეკლიან გზაზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე ლაზი
გაზეთ „ილორის“ მკითხველებს ვთავაზობთ პოეტის ერთ-ერთ ლექსს:

ტაო-კლარჯეთი

ჩვენს მიწას უცხოვ ვეწვიეთ,
თვალი ვერ აღწერს რაც ვნახეთ,
ირგვლივ წაღკოტი ჰყვაროდა,
ყველაფერშია ღვთის სახე!
დასრიალებდა კალმახი
წკრიტადა მდინარეშია,
ღილით ისმოდა კვილი,
არ ძინავთ მინარეთშია!
თვალუწვდენვით კლდეები,
ქიმზე ომში და ხახული,
პარხალი, ბანა, ოპიზა
გადაგვეშალა წარსული.
ხანძთას ენებლა ხარობდა,
წყარო დიოდა ველადა,
აი, გაცოცხლდა წარსული,
ლამის დავეშვი მდერადა!
წირავს მამაო ოთახში,
მახარებლები ხარობენ,
დასტეველია ტაბარი,
დაყრილია ქვები დარობენ!
აგეტრება კი არა,
გინდა იბღავლო დილამდის,
რჩება ტაბარი უმრევლოდ,
კიდევ როდისდა წირვამდის?!
ტებუთი დანგრეულია,
ოპიზა გაგლეჯილია,
შატბერდი უგუმბათოა,
კვდები მარტოსულია...
ჩვენ მიუყვებით აღმართებს,
კვდები ძლივს უჩანს წვერები,
გულდამღვრულნი მივივივართ,
იქ არ დაგვხდება ბერები!
დაგვადრობინეს ფანჩი,
მოლამ გაგვიღო კარები,
მიმოვატარეთ წამიერ
ცრემლებით სავსე თვალები!
ძაბით მოსილი იშხანი,
მიმოვანტული ქვები,
არ გააჩერეს საფლავში
დედა-შვილი თუ ძმები!
ოქროს ექებდა მტარვალი,
გადააბრუნეს მთები,
იქ მეფეები სახლობდნენ,
ვეგლებოდათ თვლები!
ვისილე გროვად დაყრილი,
დაუმარხავი ძველები,
კვდები ზე ირმის ჯოგია,
არ შეგხვედრია მგლები!
... თურმე რა დიდი ყოფილა
ჩვენი ქვეყანა ოდიო,
ღმერთო, ჰქმენ სასწაული და
შემოვკატარე ჩოქვით!
მართლაც ღვთისმშობლის სადარი
აყვავებული მთა-ბარი,
ტაო, კლარჯეთი, შავშეთი,
პატარა კახის ჰერეთი...
ნასაფრებელი ოსმლო,
არაბეთი თუ სპარსეთი,
გვძლივს ურიცხვი ამალით,
გადმოიტანეს საზღვარი!
... საინფორმაციო მერცხლები,
დაგვეტრიალებდნენ თავზე,
ტაო-კლარჯეთში მტრედები
ნამომჯდარიყვნენ ქვაზე,
ჩვენ წამოვიდით, – ისინი
ისრიალებდნენ ცაზე,
ჩვენზე ერთგულნი ყოფილან
არ გავეცვლიათ სხვაზე!

მეორე მსოფლიო ომი



ომის დასასრული ევროპაში (1945)

პიტლერის სიკვდილის შემდეგ გროსადმირალი კარლ დენიცი 1 მაისს ფინეთის ანდერძისაგან გერმანიის რაიხსპრეზიდენტი გახდა. დენიცს სურდა გერმანელი მეომრები დასავლელ მოკავშირეებს ჩაბარებოდნენ ტყვედ, რათა თავი დაეხსნათ სსრკ-ის შურისძიებისაგან. ამისათვის მან გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთ ფრონტზე ბრძოლა გრძელდებოდა. 2 მაისს დენიცმა თავისი შტაბი ჯერ კიდევ გერმანელთა ხელში მყოფ ქალაქ ფლენსბურგში განათავსა და შეადგინა მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიხის ფინანსთა მინისტრი გრაფი შვერინ ფონ კროზიცი.

4 მაისს ნორვეგიაში ბრიტანელთა წინააღმდეგ მებრძოლმა „ვერმახტის“ შენაერთებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა „კრიგსმარინეს“ ასლად დანიშნული მეტაური გენერალ-ადმირალი პანს-გეორგ ფონ ფრიდებურგი კაპიტულაცია გამოაცხადეს. 7 მაისს გენერალ-პოლკოვნიკმა ალფრედ იოდლმა რეისში ხელი მოაწერა დასავლელი მოკავშირეების წინაშე გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციას. მომდევნო დღეს ბერლინ-კარლსპორტში იგივე გააკეთა, ოღონდ ამჯერად სსრკ-ის წინაშე, გენერალ-ფელდმარშალმა ვილჰელმ კაიტელმა. 9 მაისს გერმანიის სრული კაპიტულაცია ძალაში შევიდა.

მიუხედავად კაპიტულაციისა გერმანელთა ხელში იყო ფრანგული ქალაქები: ბრესტი, ლარ-შელი, ლორიანი და სენ-ნაზერი, ასევე ავსტრიის ნაწილი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი და ბოჰემია. ამ უკანასკნელიდან 2 მილიონმა ჯარისკაცმა გაასწრო წითელი არმიის მოსვლას და დასავლელ მოკავშირეებს ჩაბარდა ტყვედ.

მეორე მსოფლიო ომის მესამე პერიოდი (1942 წლის 19 ნოემბერი - 1943 დეკემბერი)

III პერიოდი ხასიათდება საომარ მოქმედებათა მასშტაბებისა და დაძაბულობის ზრდით. ფაშისტური გერმანიის მესვეურები ყველა საშუალებით ცდილობდნენ გამარჯვების მიღწევას სსრკ-ზე. ფაშისტური დიქტატურის რეჟიმმა უკიდურესობამდე გააძლიერა ექსპლუატაცია, რეპრესიები და ძარცვა ოკუპირებული ქვეყნების რესურსების მაქსიმალური გამოყენების მიზნით. ფაშისტური გერმანიისათვის მუშაობდა თითქმის მთელი ევროპის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი. 1942 ნოემბერში 267 დივიზიონი და 5 ბრიგადიანი, რომელიც გერმანიას ჰყავდა, 192 დივიზია (71%) და 5 ბრიგადა მოქმედებდა წითელი არმიის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სსრკ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლა გერმანიის სატელიტთა 66 დივიზია და 13 ბრიგადა. ამ პერიოდშიც მეორე მსოფლიო ომის მთავარ ფრონტად კვლავ სსრკ-გერმანიის ფრონტი რჩებოდა.

1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სტალინგრადთან (სტალინგრადის ბრძოლა 1942-1943). 1943 წელს კურსკთან ბრძოლაში (კურსკის ბრძოლა 1943) ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების შედეგად მოხდა ძირითადი გარდატეხა მეორე მსოფლიო ომის მსვლელებაში. ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე. საბჭოთა არმიამ დაიწყო ფართო შეტევა მთელ ფრონტზე. 1943 ზაფხულსა და შე-

მოდგობაზე გაათავისუფლეს დონბასი და მარცხენა ნაპირის უკრაინა, გადალახეს დნეპრი და დაიწყო ბელორუსიის გათავისუფლება. 1942 შემოდგომიდან ერთგვარად გააქტიურდა დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის სამხედრო მოქმედება. 1942 ოქტომბრის ბოლოს დაიწყო ინგლისის მე-8 არმიის (სარდალი გენერალი მონტგომერი) შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში. ელ-ალამინის ბრძოლაში (1942 წლის 23 ოქტომბერი-4 ნოემბერი) გამარჯვების შემდეგ ინგლისის ჯარები 3 თვის განმავლობაში უტყველდნენ გენერალ-ფელდმარშალ რომელის ჯარებს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და გაივლინენ ტუნისის სამხრეთ საზღვართან. 1942 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ამერიკა-ინგლისის საექსპედიციო ძალების (150 ათ.) გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში. მალე მოკავშირეებმა დაიკავეს მაროკო, ალჟირი, შვეიცრია ტუნისში. 1943 ზაფხულში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კუნძული სიცილია. სექტემბერს გადასხეს საზღვაო დესანტები აპენინის ნახევარკუნძულზე (იტალიის კამპანია 1943-1945). საბჭოთა არმიის გამარჯვებები ხელს უწყობდა ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური ბრძოლის აღმავლობას.

ომის III პერიოდში მოხდა არსებითი ცვლილებები წყნარ ოკეანესა და აზიაში მებრძოლ მხარეთა ძალთა თანაფარდობაში. 1943 განმავლობაში ამერიკის ჯარები გადასხდნენ ახალ გვირაზე, განევენეს იაპონელები ალუტის კუნძულებიდან, საერძობი ზარალი მიყენეს იაპონიის სამხედრო და სავაჭრო ფლოტს.

მეორე მსოფლიო ომის მეოთხე პერიოდი (1944 წლის 1 იანვარი - 1945 წლის 8 მაისი)

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები გაპრობებული იყო ანტიფაშისტური კოალიციის სამხედრო და ეკონომიური ძლიერების ზრდით, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სულ უფრო მძლავრი დარტყმით და ევროპაში მოკავშირეთა მოქმედების აქტივიზაციით.

1944 დასაწყისში 315 დივიზიისა და 10 ბრიგადიანი, რომელიც ფაშისტურ გერმანიას ჰყავდა, 198 დივიზია და 6 ბრიგადა სსრკ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობამ ცხადყო, რომ სსრკ-ს საკუთარი ძალებით შეეძლო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მოპოვება და ევროპის გათავისუფლება ფაშისტური უღლისაგან. 1944 წლის ზაფხულისათვის საერთაშორისო და სამხედრო ვითარება ისეთი იყო, რომ მე-2 ფრონტის გახსნის შემდგომ დაფორმება შედეგად მოჰყვებოდა მთელი ევროპის გათავისუფლება სსრკ-ის ძალებით. ასეთმა პერსპექტივამ აიძულა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები დაეჭებინათ შეჭრა დასავლეთ ევროპაში ლა-მანშის მხრიდან. მოკავშირეებს ძალთა აბსოლუტური უპირატესობა გააჩნდათ. 2 წლის სამზადისის შემდეგ, 1944 წლის 6 ივნისს დაიწყო ნორმანდიის სადესანტო ოპერაცია. 1944 წლის 19 აგვისტოს პარიზში დაიწყო აჯანყება. მოკავშირეთა ჯარების მისვლის მომენტი-ათვის დღეაქალაქი უკვე ფრანგი პარტიოტების ხელში იყო. უდიდესი შეტევითი ოპერაციებით აღინიშნა 1944 ზაფხული და შემოდგომა. 1944 ბელორუსიის ოპერაციის შედეგად გათავისუფლდა ბელორუსია და ლიტვის სსრ მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭოთა ჯარებმა პოლონეთის I არმიის ნაწილებთან ერთად დაიწყეს პოლონეთის გათავისუფლება. რუმინეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1944 წლის 23 აგვისტოს დაამხეს ი. ანტონესკუს სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა, 9 სექტემბერს აჯანყების შედეგად ბულგარეთში დაემხო მონარქისტული ფაშისტური რეჟიმი და შეიქმნა სამამულო ფრონტის მთავრობა, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიას. 29 აგვისტოს დაიწყო სლოვაკიის შეიარაღებული აჯანყება ფაშისტური დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ჯარებმა 20 სექტემბერს დაიწყეს ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლება. ამავე დროს იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა საბჭოთა

არმიის აქტიური მონაწილეობით 20 ოქტომბერს გაათავისუფლეს ბელგრადი. 1944 გერმანიის დამპყრობთაგან გათავისუფლდა ნორვეგიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის რაიონი. 1945 დასაწყისისათვის ფაშისტური გერმანიის ეკონომიური და სამხედრო რესურსები გამოიფიტა. 1944 შუა ხანიდან ნედლეულის ძირითადი წყაროების დაკარგვის გამო სწრაფად ეცემოდა სამხედრო წარმოება. მიუხედავად ამისა, ფაშისტების მმართველ ხროვას ანტიპიტლერულ კოალიციაში განხეთქილების იმედი ჰქონდა და ომის გაჭიანურებას ცდილობდა. 1944 წლის 16 დეკემბერს ფაშისტურმა ჯარებმა დაიწყეს კონტრშეტევა არდენში. ინგლის-ამერიკის მთავრობებმა საბჭოთა მთავრობას სთხოვეს აღმოსავლეთ ფრონტზე შეტევის დაჩქარება. ვისლა-ოდერის ოპერაციის მსვლელობაში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანიის ფაშისტთა დაჯგუფება ვისლასა და ოდერს შორის, გაანადგურეს 35 დივიზია და მიიმე ზარალი მიყენეს 25 დივიზიას. აღმოსავლეთ პრუსიის ოპერაციის (1945) დროს განადგურდა გერმანელთა 25 დივიზია და მიიმე ზარალი განიცადა 12 დივიზიამ. საბჭოთა ჯარებმა იერიშით აიღეს კენიგსბერგი. 1945 წლის თებერვალ-აპრილის I ნახევარში გაანადგურეს მტრის მსხვილი დაჯგუფებები აღმოსავლეთ პომერანიასა და სილეზიაში, გაათავისუფლეს ბალტიის ზღვის სანაპირო დანებებიდან ოდერამდე. გერმანიის წინააღმდეგ მოქმედების კოორდინაციისათვის და ევროპაში ომის შემდეგ წესრიგის დამყარების საკითხებთან დაკავშირებით 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში შედგა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია (ყირიმის კონფერენცია 1945).

გამარჯვების დროშა რაიხსტაბზე

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგობის უკანასკნელი ცენტრი ბერლინი იყო. 16 აპრილს დაიწყო გრანდიოზული ბერლინის ოპერაცია (1945). პიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ (30 აპრილი) ადმირალ დენიციც მეტაურობით შეიქმნა მთავრობა, რომელიც წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ცდილობდა. 6-11 მაისს საბჭოთა არმიებმა ჩაატარეს პრალის ოპერაცია (1945). ფართო ფრონტით შეტევის შედეგად საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების გათავისუფლება. 4 მაისს ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანელთა ჯარების დანებების შესახებ ინდერლანდში, ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინსა და დანი-აში. 5 მაისს დანებდნენ ფაშისტური ჯარები სამხრეთ და დასავლეთ ავსტრიაში, ბავარიაში, ტიროლში და სხვა რაიონებში. 8 მაისს, შუაღამისას საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული კრლ-სპორსტის გარეუბანში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ფელდმარშალ ვ. კაიტელის მეტაურობით ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. უსიტყვო კაპიტულაცია საბჭოთა მთავრობის დავალებით მიიღო საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ჟუკოვმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად.

აგრესიულ სახელმწიფოთა კოალიციიდან, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა, 1945 მაისში ბრძოლას მხოლოდ იაპონია განაგრძობდა. 17 ივლისიდან - 2 აგვისტომდე შედგა სსრკ-ის (დელეგაციის მეთაური ი. სტალინი), აშშ-ის (დელეგაციის მეთაური ჰ. ტრუმენი) და დიდი ბრიტანეთის (დელეგაციის მეთაური უ. ჩერჩილი, 28 ივლისიდან - კ. ეტლი) მთავრობათა მეტაურების პოტსდამის კონფერენცია 1945 (1945), მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის, ლენაციფიკაციისა და დემოკრატიული გარდაქმნის შესახებ. დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მთავრობებმა წაუყენეს იაპონიას კაპიტულაციის კონკრეტული პირობები, რომ-

ლებიც იაპონიის მთავრობამ უარყო, სსრკ-მა, რომელმაც 1945 აპრილში მოახდინა სსრკ-იაპონიის ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დენონსირება, დაადასტურა მზადყოფნა ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ.

6 აგვისტოსა და 9 აგვისტოს აშშ-მა ატომური ბომბები ჩამოაგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, რის შედეგადაც დაიხოცა და დასახინდა 1/4 მლნ-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. 8 აგვისტოს სსრკ-მა ომი გამოუცხადა იაპონიას. 9 აგვისტოს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საომარი მოქმედება მანჯურიაში განლაგებული იაპონელთა კვანტუნის არმიის (1,2 მლნ. კაცი) წინააღმდეგ. 10 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი შეტევით მოკლე დროში გაანადგურეს კვანტუნის არმია და გაათავისუფლეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ჩინეთის ნაწილი, ჩრდილოეთ კორეა, კუნძული სახალინი და კურილის კუნძულები. გათავისუფლებული მანჯურია ეკონომიკურად ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რაიონი, გადაიქცა ჩინეთის რეგ. ძალების საიმედო სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად. სსრკ-ის ომში ჩაბმამ და კვანტუნის არმიის განადგურებამ დააჩქარა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია, რომლითაც 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომის შედეგები

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბელჯუ-გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლეო იყო დამარცხებინა გერმანია. ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამიწის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი. დაიღუპა 62 მლნ. კაცი (სსრკ - 27 მლნ., გერმანია - 5,25 მლნ., პოლონეთი - 4,5-6 მლნ., იუგოსლავია - 1,7 მლნ., იაპონია - 1,8 მლნ., აშშ - 318.000, დიდი ბრიტანეთი - 386.000, საფრანგეთი - 810.000, იტალია - 330.000, რუმინეთი - 378.000, უნგრეთი - 420 000, ფინეთი - 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა. განადგურდა ათიათასობით ქალაქი და სოფელი, უბედურება თავს დაატყდა ათეულობით მლნ. ადამიანს. ამ ომში საბოლოოდ განადგურდა ფაშიზმი, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვიდრელი ძალა. ომმა ცხადყო სოციალიზმისა და სსრკ-ის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უძლეობა. ანტიპიტლერული კოალიცია გადამწყვეტმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო რევოლუციურ გარდაქმნებს მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა გააძვირა და დააჩქარა მთელი რიგ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება. სოციალიზმის ზეახალ დაადგა ევროპის ქვეყნები (100 მლნ. კაცი). კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდა აზიის სახელმწიფოები (1 მლრდ. კაცი), სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად. კაპიტალისტურ ქვეყნებში დაჩქარდა ხალხის მასების გარვეოლუციურების პროცესი, გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ავიდა ახალ, უფრო მძლავრ საფეხურზე. სსრკ-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში.

მეორე მსოფლიო ომი წარმოადგენს უდიდეს ეტაპს სამხედრო ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

ბაპურ მორბოშია, პარიზი

გოჭის მონოლოგი ახალ ინიციატივაზე – პასუხი ქართველ ხალხს



ამას წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ევროსაბჭოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოში (ამ საერთაშორისო უწყების წესდების თანახმად) აიკრძალება ერთ წლამდე ასაკის გოჭების დაკვლა, რამაც ახალი სადარდელი გაუჩინა ქართველს და პირის გემოს მოყვარულ ქართველ "დიპუტებს". გოჭების დაკვლის აკრძალვა კი უდავოდ გაზრდის საქართველოში ღორების რიცხვს, რომელთა სიმრავლე გაღორბული ნაცების გამოისობით არც მანამდე გვაკლდა. აღნიშნულმა ინფორმაციამ კი სავოჭოთის ატრაცება გამოიწვია, რაც კარგად ჩანს წინამდებარე წერილში:

გოჭის მონოლოგი ახალ ინიციატივაზე – პასუხი ქართველ ხალხს

გამარჯობა, მე გოჭი ვარ. 3 თვის ვარ, მაგრამ ისე გამოვყურები, როგორც ერთი წლის. დედანიში დარდობს კიდევ, ვინმეს დიდი არ ეგონო და შენი თავი არ მომტაცოსო. იდარდებს, აბა რა, დედას ჯერ არ გაუგია, რომ ერთ წლამდე ხელს ვერავინ მახლებს. ეს ამაგი ისე გამიხარდა, როგორც პირველი ტალახის დანახვა. ამის მერე თუ ვინმე იტყვის, "ოცნება არ მუშაობს", ჩემთან ექნება საქმე. უბედური ჩემი და მახსენდება, 10 თვის იყო, ბოლოკი რომ გააცვენეს. კი უხდე-

ბოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც მეცოდებოდა ის უბედური.

მამას ახლობლები ყავს იუსტიციის სახლში და მითხრა, 1-2 თვით გადაგიკეთებ პირადობის მოწმობასო, მაგრამ ყველა სიხარულს ხომ აქვს თავისი ტკივილი. ჩემი მეზობელი ვარცა, ჯერ 1 თვისაც არ იყო და გაქრა. იფიქრებ, ერთი ხანობა ისიც თქვეს, მოდი პროცესის დადგება შევწყვიტო პროტესტის ნიშნად, მაგრამ რომელმაც შეწყვიტა, ისიც გაქრა და მერე ხელი ჩაიქნევს. ერთ კაცზე ჰქონდათ ექვი, მაგრამ მტკიცებულებები არ ჰქონდათ და ვერ დაიჭირეს. თითქმის ისეთივე მომენტი იყო, როგორც ბახანა ახალაის სასამართლო პროცესზე, უბრალოდ აქ ვაშლის გათლის ეპიზოდი არ ფიგურირებდა.

გვიხარია ეს ახალი კანონი. აწი მშობიარობას ექსპერტები დაესწრებიან, რომ დაბადების მოწმობები მოგვეცნ და სიკვდილიანობა ნაკლები იქნება.

არა რა, ასოცირების ხელშეკრულებას რომ იღებდნენ, ვიცოდი კარგი იყო, მაგრამ ასეთი კარგიც არ მეგონა. ვაზის სამშობლოში ასოცირების ხელშეკრულების პირველი სიკეთე ღორებმა ვიგრძინეთ. დორი უნაძუსოს სიმბოლოდ კი იქცა, მაგრამ ჩვენც გვაქვს გული და ძალიან ვდარდობთ თევზებზეც, იქნებ ევროპამ მათზეც იფიქროს რამე, თორემ როგორ შეიძლება 3-4 თვის თევზის ჭამა?!

ჩვენს აკრძალვას როგორმე გადაიტანს ერი, მაგრამ ციკანების დაკვალაც თუ აკრძალვას, ეს მართლა რევოლუციის მომტანი იქნება. ისე რა პოეტურად ვლერს "ციკანების რევოლუცია".

გუშინ, "რუსთავი 2"-ს ვუყურე და ისეთები თქვეს, გადავვიტოვებოდი. თურმე არაფერი არ კვლდება. მეტიც, რაც გაკეთებული იყო, ისიც კი ფუჭდება. ამის

ფონზე გამიხნდა ერთი ლოგიკური კითხვა – გვიანდა ჩვენ 1 წელი სიცოცხლე? ერთხელ მაინც გეკითხეთ რაღაც, ხომ შეიძლება? ამ ბოლოკს რომ გეტყვით პირში, ისე რომ არც გეკითხებით მოგეწონს თუ არა, მაგაზე ხმას არ ვიღებთ. არც იმაზე ვწუწუნებთ, "პრემიუმით" რომ შესამოსელს გეპარცევთ ხოლმე, მაგრამ ამაზე მაინც გეკითხათ რამე, განა დაიქცეოდა ქვეყანა?!

მოკლედ, მეტი რა უნდა ვთქვა, არც ვიცი. ერთი უბრალო გოჭი ვარ 13 დედამამშივილიდან და ბევრი ჭკუა არც მომეკითხება. უბრალოდ, ამ ბოლო დროს ლექსების წერა შემეყვარდა და ჩემს მონოლოგსაც ლექსით დავასრულებ.

ევროპამ ჩვენზე დაიწყო ფიქრი. მოგენტრებით მწვადებზე ცვა-რი.

ბედნიერია ვინც გოჭად გაჩნდა, ჩვენს ბედს შენატრის ძროხა და ცხვარი.

ახალი წელი უჩვენოდ ნიშნავს, სადმე მინისტრი ნახო უჯიპოდ. მალე გეექნება ალბათ პასპორტიც და პირადობაც, ოღონდ უნიპო.

არავის გირჩევთ ცუდად შეგვხედოთ, ასოცირება გვიცავს კბილებით, თუ შევამჩნიეთ დანის აღესვა ყველას გირჩევლებთ ღორის-შვილები.

ჩვენზე იფიქრეთ და სიზმრად მოვალთ, არ შეგვაშინებს გავლა მღეროსი, ევროპას ამაგს არ დაუუკარგავთ ჩვენ ჭყვიტინები საქართველოსი.

ლ. გობოლაძე

ამბები სამეგრელოდან

დასრულდა რამაზ კიტიას სახელობის რიგით მეთექვსმეტე ტურნირი მიწი-ფეხბურთში

რამდენიმე ხნის წინ სტარტი აიღო და 10 დღეში დასრულდა ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის რამაზ კიტიას სახელობის თასის გათამაშება მიწი-ფეხბურთში, რომლის ფინალი გაიმართა სოფელ ხიბულაში მისივე სახელობის სტადიონზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი ორ ჯგუფად. ფინალი დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის გამარჯვებით, მეორე ადგილი დაიკავა კომპანია „ჯი-პი-ერ“-მა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა საფეხბურთო სკოლამ, გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ საპატიო სიგელები და რამაზ კიტიას სახელობის თასი.

ტურნირის ფინალურ თამაშს რამაზ კიტიას ოჯახის წევრებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სამქტაკლი „ნაცარქმეა“ ხობის კულტურის სახლში

მიმდინარე წლის ოქტომბერში ქ. ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში ხობის კულტურის ცენტრთან არსებულმა ბავშვთა თეატრალურმა დასმა მაცურებელს გიორგი ნახუცრიშვილის სამმოქმედობის მიესა „ნაცარქმეა“ წარუდგინა. საქტაკლის დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამგომრებელია – მარინა ჯღარკავა. მონაწილეობდნენ ნორჩი მსახიობები: ლ. სიჭინავა, ი. არჩაია, ლ. გვასალია, მ. ჯიქია, ც. ვადაქარია, მ. ხასია, ლ. ლოლუა, ი. ცაგურია, გ. მირცხულავა, გ. არჩაია, დ. აკობია, მ. ცხადანია, გ. სიჭინავა, ი. სიორდია, ი. ჯგერენია, ნ. ჯგერენია, ე. ტიბუა.

სამარაღისო ხსოვნა

იმქვეყნიურ საქართველოს კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი, გულმხურვალე პატრიოტი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აშთანდოლ სინარულიძე მიუვიდა – ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მხცოვანი სწავლული, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და თეორიული ელექტრონიკის კათედრის პროფესორი, სტუდენტ-ახალგაზრდობის საყვარელი პედაგოგი, ჩვენი გახეთის აქტიური ავტორი.

ბატონი ავთანდილი თავისი პროფესიით არასდროს შემოფარგლულა. მან დიდი ამაგი დასდო ლექსიკოგრაფიას. მისმა საფუძვლიანმა ნაშრომმა "ქართული ენის ომონიშთა ლექსიკონი" ენათმეცნიერთა, ფილოლოგთა, ლიტერატორთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ამ ნაშრომს ერის საგანძური უწოდეს.



გაზეთ "ილორის" რედაქცია

გარდაცვალებამდე ცოტა ადრე გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია სათაურით: "ქართული საერთაშორისო ენა ინგლისურის და ესპერანტოს საზღვროდ". ამ ნაშრომში თავმოყრილია ანტიკური დროიდან დღემდე გამოჩენილი ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, ლინგვისტების, ორიენტალისტების შეხედულებები კავკასიურ-ბერძნული ენის, ქართველური ენების უნივერსალურობის შესახებ. ეს ორი წიგნიც საქმარისია იმისთვის, რათა ავთანდილ სინარულიძის ხსოვნა უკვდავი იყოს.

საკვირაო საკითხავი ბედი და დიდება

ერთ სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც სახელად ნიკოლოზი ექნებოდა. მისი ბედი ისე იყო მოწყობილი, რომ ყოველთვის მისი ბედობა არ იცოდა. ხალხის მოსმენაც ძალიან უყვარდა. მას მამრთავდნენ თუ სხვას, ყველაფრის გაგება უნდოდა. კეთილი იყო, მაგრამ სიკეთის გაკეთება არ უყვარდა. გულუხვი იყო, მაგრამ არაფრის განუქება არ სიამოვნებდა. ისე კი მართლა არაფრის უშავებდა. უსაქმურობაში ხან მწერლობაში სვდა ბედი, ხან კურნალისტიკაში, მაგრამ მისდა გასაკვირად, მისი ავტორობით დაბეჭდილი ორიოდე წერილს ხალხის მასების აღტაცება რომ არ მოჰყვა, ამ საქმესაც მოეშვა.

ბოლოს ადამიანთა ჭკუაზე დარიგებას მიყო ხელი. ეს ხელობა ძალიან მოეწონა, რადგან არაფერი ეხარჯებოდა, აზრები კი სულ მოსდიოდა და მოსდიოდა. მაგრამ ადამიანები ძველად უჩერდებოდნენ. ყველას სადღაც ექსპერტობოდა ან ფიქრანას დარიგებას ნარდის თამაშსა თუ სუფრაზე ჯდომას არჩევდნენ.

მაშინ ფიქრანამ თვითონაც გადაწყვიტა იქ წარემართა თავისი საქმიანობა, სადაც ადამიანებს ერჩიათ. და რადგანაც სუფრები არ უყვარდა, ისევე ნარდის თამაშში ჩართვა არჩია. იჯდა დიდიდან სადამომდე და კამათებს აგორებდა. თან ხალხს ჭკუაზე არიგებდა – ეს ასე გააკეთებდა, ეს ისეო.

ის გააგორა, რაც გულში ჩაიფიქრა. თავიდან დამთხვევა ეგონა, მაგრამ მესამე და მეოთხედაც რომ გაუმართლა, მიხვდა, რომ სიზმარი მართლაც აუხდა...

ფიქრანა ჯერ ეზოს ჩემპიონი გახდა ნარდში, მერე უბნის, მერე ქალაქის და ბოლოს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და მაცვივარი „სამსუნგოც“ რომ მიიღო საჩუქრად, მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლადაც მოემზადა. ჩემპიონატი პარიზში ტარდებოდა. ფიქრანას იქ უკვე მოუთმენლად ელოდნენ. ამიტომ ხალხი დიდი ზეიმითა და აპლოდისმენტებით დახვდა. აქაც გამოიჩინა თავი – პარიზიდან დიდი ოქროს მედლით, ჩემპიონის ტიტულითა და ფულადი პრიზით დაბრუნდა.

წარმატებებმა ფიქრანა ძალიან შეცვალა. მედიდური გახდა. ჭკუაზე დარიგებას ვინ ჩივის, მეზობლებს აღარც კი ეხალმებოდა წესიერად. კურნალისტებს ინტერვიუებში, ახალგაზრდებს კი ავტორიტეტის მიცემასა და მასთან სურათის გადაღებაში ფულს სთხოვდა. ბავშვებს ნარდის თამაშის სწავლებაზე უარს ეუბნებოდა და ცოლ-შვილსაც კი ზემოდან დაჰყურებდა.

ერთხელ, ქალაქში ხმა გაეგარდა, ინდოეთიდან ცნობილი მონარდო რაჯუნ ჰინდ მარაქმურაქი ჩამოვიდა, რომელსაც ფიქრანასთან შეერკინება სურსო. მარტზე უამრავი ხალხი მოვიდა. ცუდი ხასიათის მიუხედავად, უდიდესი სურვილი ჰქონდათ, მათ თანამემამულეს კიდევ ერთხელ ეხახელებინა ქალაქი და ქვეყანა. წარმატებებით გათამამებულმა ფიქრანამ მთელი თავისი ქონება ჩადო ამ შეხვედრაში. მაგრამ კამათის პირველივე გაგორებაზე მიხვდა, რომ ბედი შემოსწერა.

ფიქრანამ ყველაფერი წააგო, რაც ამ წლებში იშოვა. სახლში, ავტობუსის ფულიც კი რომ აღარ ჰქონდა, ფეხით დაბრუნდა, მაგრამ ეზოში კი არ შესულა, დაღამებას დაელოდა, რომ მეზობლების ნიშნისმოგებით შეხედვები არ დაენახა.

მხოლოდ შუადამეს გაბედა ბუჩქებიდან გამოძრომა. ჩუმად შეიპარა ეზოში და უცებ შემინებული გაჩერდა: მთელი ეზო იდგა და ელოდებოდა. ყოფილმა მეგობრებმა დაამშვიდეს, გადაკოცნეს, დაუყვავეს და სახლში შეიპატივეს...

სე

ერთ ტყეში ერთ ღამას არყის ხეს ორი თავყანისმცემელი ჰყავდა: ციყვი და კოდალა. ციყვი ღამაში, მხიარული და მოხდენილი იყო. კოდალა კი პირქუში, უსიტყვო და უღამაზო. ხეს არ უყვარდა კოდალას გამოჩენა, რომელიც თავისი ნისკარტის კაკუნით არ აძლევდა მშვიდად ყოფნისა და ციყვთან გართობის საშუალებას. ამიტომ ციყვს სთხოვა და გააგდებინა კოდალა ხიდან. ამის შემდეგ ისინი მარტო დარჩნენ. ციყვმა ბინაც კი მოიწყო მის ფულურში, სადაც თავიდან სასმელ-საჭმელს ინახავდა, ბოლოს კი ხის გულის სატკენად ოჯახიც გაიჩინა. ხე შეწუხდა მათი ანცობით, მუდამ ხმაურითა და უყურადღებობით, მაგრამ ვერაფერს ვეღარ გააწყოდა. ბოლოს ციყვების მოტანილ ხავსს ჭიები გაუჩნდა, რომლებმაც ხეს ხერა დაუწყეს. ერთ დროს ღამაში, ამოღებელი ხე დაავადდა და დამახინჯდა. ავადმყოფ და უღამაზო ხეზე ციყვმაც აღარ იკადრა დარჩენა და ოჯახიანად სადღაც გადაბარგდა.

იღვა ხე თავისთვის და ცრემლებს ღვრიდა. იცოდა, რომ ამდენი ავადმყოფობის შემდეგ აღსასრულიც მალე დაუდგებოდა. ერთ დღეს ხე კაკუნმა გამოადგოდა. ეს კოდალა დაბრუნებულიყო. თავისი საყვარელი ხე ამ დღეში რომ დაინახა, ძველი წყენა დაივიწყა. ყველაფერს თავი დაანება და ხის მკურნალობას შეუდგა. მთელი თვე არ მოსცილებია მას. იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავის გრძელ ნისკარტს ხეს გამეტებით ურტყამდა. ხეს აღარ აღიზიანებდა ეს კაკუნი, რადგან იცოდა, ამ ხმას მისთვის ჯანმრთელობა და სიცოცხლე უნდა მოეტანა.

ასეც მოხდა. არყის ხე დღესაც ამყად და თავმოწონედ დგას შუაგულ ტყეში და იცის, რომ აღარასოდეს დაავადდება, რადგან გვერდით ასეთი ერთგული და ძლიერი მეგობარი ჰყავს.

მორალი: სიკეთე ერთგულებას მოაქვს მხოლოდ და არა გართობას და სიღამაზეს.

ნიკოლოზ ჰანიბა, დევნილი სოხუმიდან

მხოლოდ ხალხის მონოლითური ერთიანობა და გამართლებილი თავდადება თუ

გადაარჩენს საქართველოს

ბრამიტონ კვარაცხელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ურნალისტი, ყოფილი საბჭოთა ფუნქციონერი



ნაციონალთა კაცთმოძულე რეჟიმის დამსობის და ქართული ეროვნული ძალების ძლიერ მოსიძოვებით გასაქართველოს შემდეგ არ წარმოგვედგინა, რომ საქართველოს კვლავ დაეუქმებოდა რაიმე საშიშროება და აძღვნი ხანს წელში ვერ გაიძარცვებოდა. უხეშა შეცდომებმა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, განაპირობებს ქვეყნის წარუმატებლობა. ამის მთავარ მიზეზად ე.წ. კოპიტიციას მიიჩნევენ, რითაც ნაციონალ-ნადირალებს მიეცათ შესაძლებლობა ძირითადად შეენარჩუნებინათ თავიანთი პოლიტიკური ძალები და შემდეგ თანდათანობით ეზრუნათ მათი აქტიურობისა და ბრძოლისუნარიანობის აღდგენისათვის. დღეს არავის ეჭვება, რომ ექსპერიმენტი კოპიტიცია იყო ნაციონალთა მხარდაჭერი და ქართველი ერის წინააღმდეგ ამხედრებული უბოროტესი ძალების მიერ დაგებული ხაფანგი. იგი მოცინებდა მიერ მოწინააღმდეგეთა ვერაფერს და საკმაოდ ძლიერი ძალების შესაძლებლობათა შეუფასებლობის და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სიფხიზლის მოღუპვის შედეგად. განცვიფრებას იწყებს ის, რომ ეს ანტიეროვნული აქტი განხორციელდა უშუალოდ **„ქართული ოცნების“** მიერ.

ომებისა და რეჟიმული ცვლილების ისტორიის გვარწმუნებს, რომ მოსიძოვებ მტერი არ უნდა დაინდო და მას უნდა სდიო საბოლოო განადგურებამდე. მით უფრო, როცა ხელთ გიპერია მის მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა შესახებ უამრავი მტკიცებულება. ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ესწავლება გენიალური სტრატეგისა და მხედართმთავრის ოსებს სტალინის მგზნებარე მოწოდება გერმანელ ფაშისტთა თავისსავე ბუნაგში განადგურების თაობაზე, რაც ასევე შესრულდა და ომის მთავარ დამანაშავეთა ნიურბერგის სასამართლო პროცესის შედეგად კიდევაც აღიგავა ფაშისტი პირისგან მიწისა, როგორც პოლიტიკური გაუგებრობა.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვარაუდი, რომ **„ქართული ოცნება“** კოპიტიციის პირობებშიც ნიშნულზე და ისტორიის სარბიელოდანი ნაციონალთა ალაგმვას და ამით ერთხელ კიდევ იტყოდა ახალ სიტყვას პოლიტიკაში, არ გამართლდა. უნდა ყოფილიყო, რომ თავი იხინა თავმდავდად წარმატებისაგან, რამაც უბიძგა ახალ ხელისუფლებას წასულიყო ერთგვარ კომპრომისზე და შემოეღო ეს ექსპერიმენტი. მცოდნეებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ისტორიის გარდამტეხ და გადამწყვეტ მომენტში ასეთი ნაბიჯი უნდა აღსაბუთებული იქნებოდა მისი მიზანმიმართული შედეგებით შეიძლება დამთარგდეს.

იძენად დიდია ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ქართველი ერისა და საშობლოს წინაშე, რომ ვერ ვიტყვით ამ შეცდომამ უხომოდ დარტყვა მისი ავტორიტეტი და დამანგრეველი დარტყმა მიაყენა მის დამსახურებას. არა გვერდია, ბატონ ბიძინას, როგორც მულტიმილიარდერ ბიზნესმენს, არ აქონდეს გათვითცნობიერებული, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე მამულიშვილისათვის მატერიალური ფასეულობანი კი არა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რომელიც შეეძლოს ითხოვს, დღესაც, პირველ რიგში მისგან და მასთან ერთად მთელი ქართველი ხალხისაგან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ, ნებისთუ უნებლიედ, მის მიერ გადადგმული წინდაუხედავი ნაბიჯის გამო, ბევრი სიმძლეველი შექმნა ქვეყანას.

სწორედ კოპიტიციის შედეგად იხინა თავი აშკარა განუთხილობად ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, თავს გაახსენებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დღეს არსებული საგანგაშო სურათი. იმის გამო, რომ საზო-

გადობრივი აზრის გაუთვალისწინებლად და მხოლოდ ერთპიროვნული ნება-სურვილით გახდა უმაღლესი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა - ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, მინისტრების კანდიდატურათა შერჩევა, ზოგიერთი მათგანი არ აღმონდა მოწოდების სიმაღლეზე. ამ მხრივ დიდად სცოდავს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც თავიდანვე განუდგა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და არ ინება მასთან კოლეგიულ ურთიერთობაში მოღვაწეობა, რამაც ამ ბოლო პერიოდში დაპირისპირების ხასიათიც მიიღო. აშკარად შეიმჩნევა, რომ პრეზიდენტი თავისი შეხედულებებით და მოქმედებით სახელმწიფოს უფირფასეს ინტერესებზე მალა აყენებს პირად ინტერესებს, ასეთ პირობებში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა უმეტესად არჩია დაეკავებინა ნეიტრალური პოზიცია, რასაც არ უწონებენ მას და რაც არაფრით არ არის გამართლებული. ამასთან პარლამენტის სპიკერის მისამართით დავით უსუფაშვილთან ერთად ხშირად გაისმის შენიშვნები, მისი, როგორც რეპუბლიკელის წარუშლელი საქმიანობის გამო და იმის შედეგად, რომ მისი თვალსაზრისი ცალკეულ შემთხვევაში ეწინააღმდეგება **„ქართული ოცნების“** პროგრამულ მიზანდასახულობებს. აი, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება და მართლობაში დარჩენილი პრემიერ-მინისტრი ვერ აღწევენ სასურველ წარმატებას. სწორედ ამიტომაც ითქვა სახეებით სამართლიანად, რომ ამ სამუშაოს ერთმანეთთან ვერ დაუმჯარებიათ ნორმალური ურთიერთობა და სახელმწიფოს წინამძღოლობის ფუნქციის რაბაირად შეასრულებენ. რაც შეეხება თავად პრემიერ-მინისტრს, აშკარად შეიმჩნევა, რომ იგი დიდად გამოირჩევა სხვებისგან ქვეყნისადმი ერთგულებით, შეუპოვრობით, პრინციპულობით, თუნცა საზოგადოებას მის მიმართაც გაანჩინა მთელი რიგი ურადსაღები შენიშვნა.

ახალმა ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო გადამწყვეტ უბნებზე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. ფაქტები მოწმობენ, რომ სახელმწიფო მოხელეთა დიდ ნაწილს ისევ ნაციონალური შეადგენენ, სამართალდამცველ ორგანოებში მათ კვლავ უკავიათ წამყვანი თანამდებობები. მათ შორის არიან წარსულში მძიმე დანაშაულის ჩამდენი ადამიანებიც. მიუხედავად ამას წინათ განხორციელებული ცვლილებებისა, არ იგრძნობა სამინისტროების აქტიუობა, ვერაფრითარ კრიტიკას ვერ უძლებს უზუნური, ყოველად დახანჯობი საქციელი ცალკეული მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, რომლებიც ყოველად დაუშინაბრებლად ურიგებენ პრემიებს თანამშრომლებს. მუნიციპალიტეტის გამგებლები, ქალაქის მერები აშკარად ურიგდებიან საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ მიუტკეველ შეცდომებს.

ზუგდიდის საკრებულოს წევრის კახა მიქაიას წერილში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა **„სახალდა-დასავალში“**, მკტად მძიმე საუბარია იმის თაობაზე, თუ რა შედეგებით შეიძლება მოყვეს ქვეყნის მმართველი და სხვა კადრების როლის შეუფასებლობას. სამეგრელოს რვა რაიონიდან, - აღნიშნავს იგი, - ხუთში საკრებულოს თავმჯდომარეების არჩევნებზე **„ქართული ოცნების“** კანდიდატურა ჩავარდა და ნაციონალურმა თავიანთი კანდიდატურები გაიყვანეს... ამ რეგიონში მერიების და გამგებლების აღმინისტრაციები თითქმის სრულად ნაციონალური არიან და კომპლექტურები... ზუგდიდის გამგებელი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოში **„ქართული ოცნების“** ფრაქციის თავმჯდომარე ყოფილი ნაციონალური არიან. ფაქტები კი მოწმობენ, რომ საგრძნობი ნაწილი ყოფილი ნაციონალური, რომლებიც სააკაშვილის ბანაკიდან გადმოხარდა **„ქართული ოცნებაში“**, ისევ ძველ პოზიციებზე რჩება და **„ქართული ოცნების“** საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მსგავსი ფაქტები იშვიათობას არ წარმოადგენენ სხვა რეგიონებშიც. ასე რომ უდიდესი საზოგადოებაში სახელგანთხილი და შერცხვნილი კადრებითაა დანაგვიანებული ქვეყნის წამყვანი სამსახურები, როგორც ზარმაცი, უქნარა გლეხკაცის ყანა სარეველებით, რაც სოფლის მეურნეობის კულტურებს, განსაკუთრებით აღმოცენების საწყის პერიოდში, ზრდის საშუალებებს არ აძლევს. ასევე ადამიანთა საზოგადოებაშიც, სადაც ნათესილი ანტიეროვნული ძალები ყოველნაირად აფერხებენ ქვეყნის წინსვლას და წარმატებებს.

პოლიტიკაში ცნობილია, რომ თუ ქვეყნის

ხელისუფლებას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს მეცნიერულად დასახულებული მოწინავე თეორიები, თუ მისი სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნება პრაქტიკული ცხოვრებით შემოწმებულ დადებით გამოცდილებას, იქ წინსვლის შემაფერხებელი დაბრკოლებები იოლი დასაძლეია და წარმატებებიც ადვილად მიიღწევა. ამიტომაც, აუცილებელია ქვეყნის აღმშენებლობაში პრაქტიკულ ორგანიზატორულ საქმიანობას წინ უსწრებდეს პრობლემების თეორიული დამუშავება, რომელიც ისეთსავე როლს უნდა ასრულებდეს, როგორც კომპასი ვრცელ ზღვაზე ან ოკეანეში მოცურავე გემისათვის. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში? შეიძლება აშკარად ითქვას, რომ აქ, დღესაც მეცნიერული შემოქმედებითი მოღვაწეობა უგულვლყოფილია, სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული პრობლემების დამუშავება თვითინებაზეა დამყარებული, ასევე უგულვლყოფილია სახელმწიფო აპარატებში მომუშავე კადრების თეორიული სწავლება, რაც მთავარია, ამ დარგში არ არსებობს რაიმე სისტემა. ქართველ კაცს, თუნდაც სწავლა-განათლება მიღებულს, რომ კითხეთ, საითკენ მიემართებიან თუ როგორი ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, ვერ გიპასუხებთ. სწორედ რომ თეორიულმა სიღატაკემ, მეცნიერულად დასახულებული პროგნოზის უქონლობამ უბიძგა მიხედვით სააკაშვილს, რომ „წამოეწყო რუსეთთან ყოველად უზუნური ომი შიდა ქართულში, თუნცა იმასაც ამბობენ, რომ ეს თავზე ხელდადებული, თვითნება კაცი, რა პროგნოზებიც არ უნდა ყოფილიყო, თავისას არ მოიშლიდა“.

ასე რომ, დღეს საქართველოს არა აქვს გათვითცნობიერებული ეროვნული იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობა, ის, რომ მხოლოდ ეროვნული იდეოლოგია არის ქართველი ხალხის ეთნიკური შენარჩუნების საფუძველი, კერძოდ, რომ ასეთი თვითმყოფადი იდეოლოგია, გამდიდრებული მოწინავე საკაცობრიო შედეგებით (და არა სხვეთიდან კოპირებული) გზის გამკვლევით, მანათობელი შექურა ქვეყნისათვის, როგორც იყო მარქსისტული იდეოლოგია კაცობრიობისათვის. სწორედ, რომ საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იდეოლოგია, აიარაღებს ხალხს, ხელისუფლებას მოწინავე პროგრესული იდეებით და მატებს მას ბრძოლისუნარიანობას. ყოველად დაუშვებლად და უპრეცედენტოდ მიგვაჩინა, რომ ქვეყანას არ გაანჩინა ასეთი თეორიული საფუძველი და არც კი ფიქრობს მის შექმნაზე. საკმარისი არ არის მხოლოდ აღიარება იმისა, რომ ქვეყნის იდეოლოგია არის დიდი ილიას სამება **„ენა, მამული და სარწმუნოება“**. იმის ნაცვლად, რომ მივიჩნიოთ იგი ქვეყნის იდეოლოგიის საფუძველად და შეიძვეთ მოახდინოთ მისი კონკრეტუზაცია.

მინდა გამოთქვა მისასწრება დემოკრატიის არსებობის და მისი მასშტაბურობის შესახებ საქართველოში. გამოცდილება პატარა სახელმწიფოებისა, რომლებმაც ეს ეს არის მოიპოვეთ თავისუფლება, გვარწმუნებს, რომ დემოკრატიის მშენებლობა ასეთ ქვეყნებში გარკვეული ხანგრძლივი პროცესია განვითარებისა და არა დეკრეტით გამოცხადებული ხელოვნურად დაკანონებული აქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ თანდათანობით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საჭიროა მომწიფდეს ნიადაგი ფართო დემოკრატიისათვის, რომ იგი მასშტაბულად მოგვედგინოს, საქართველოში კი მოხდა საპირისპიროდ - ერთბაშად გაიხსნა დემოკრატიის ყველა სარქველი და ფართო სასაპარეხო გზა გაეხსნა დემოკრატიას, რამაც ხელუხლებლად დატოვა ბევრი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა, ფართოდ დემოკრატიის დროს თითქმის შეუძლებელია. ამისი მაგალითები, სხვაგან რომ არ ვეძიოთ, უხვად მოიპოვება ჩვენში. აძენად, იმის მოთხოვნა, რომ ქვეყანაში დემოკრატია, საამისო პირობების მომზადების გარეშე, მოუწიფებლად, ჩქარი ტემპებით უნდა ვითარდებოდეს, არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონზომიერ და ქვეყნისათვის სასარგებლო მოვლენად (ეს თვალსაზრისი არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ვეწინააღმდეგობროდ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას), ამასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ შეიძლება მოვიხსენიოთ უკვე საზოგადოებაში გაშიშვლებული კოპიტიცია, რაც ფაქტობრივად იყო მოვიზივზე ხანძარზე ბენზინის დასხმა და რამაც საშუალება მისცა მოწინააღმდეგე ძალებს ვერ ეზრუნათ მათზე მიყენებული ჭრილობების მოშუშებაზე და შეიძვეთ თანდათანობით შეემაღლებინათ ნიადაგი კვლავ მწყობრში ჩანადგომად, რაც უშედეგო და უპერსპექტივოა, მაგრამ ქმნის ახალ სიმძლევეს.

კიდევ ერთი საშიში სენი შემოგვეპარა, რაც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს და ღამის ტრადიციად შეიძლება იქცეს. უგულვლყოფილია მეტად ბრძნული და საზიანო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **„სადაც ბევრია ღაბარაკი, იქ ჭეშმარიტება ნაკლებია“**. დემოკრატიის არასწორად გაგებაში მიგიყვანა იქამდე, რომ ვლადპარაკობთ უსაშველოდ ბევრს, საქმე კი ცოტა, ძალიან ცოტა კეთდება. თანაც მოვლენების შეფასებაში არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო აზრი, რაც შედეგია იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის ერთიანი, მონოლითურად შეკავშირებული. კამათი, პაექრობა ხშირად იქნეს მწვავე დაპირისპირებისა და განაწყენების ხასიათს, ნაცვლად იმისა, რომ გამოხატავდეს ქვეყნის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ასეთი არამდალიური ვითარება აიხსნება იმით, რომ ხელისუფლება უძღურია გასცეს ავტორიტეტული პასუხი საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ დასმულ ბევრ საჭირობოროტო საკითხზე.

ჩვენდა სამარცხვინოდ მოწინააღმდეგეთა კრიტიკა ხშირად ღანძღვა-გინების ხასიათს ატარებს; კამათის კულტურა იძენად დაბალია, დამამცირებელი და ადამიანთა პირადი ღირსების შემლახველი, რომ სახელს უტეხს საერთოდ ქართულ ეროვნულ კულტურას, რომელიც ქება-დიდებათი მოიხსენიება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. უწამური და უხელო სიტყვებით ერთმანეთისადმი მიმართვა იქცა ჩვეულებრივ მოვლენად. ქართულ წერით და ხეპირ მეტყველებას დიდ ზიანს აყენებს ბილწი, ბინძური სიტყვები, რომლებსაც ვერც ერთ ლექსიკონში ვერ იპოვით. პაექრობის კორიანტელში ანგარიში არ ეწევა იმას, რომ ერთი და იგივე შენიშვნა, რაც უფრო ხშირად მეორდება, მით უფრო საზიანოა საქმისათვის, რადგანაც კრიტიკის ობიექტი ეწვევა, ვეუება აუჯად მოხსენიებას და ნაკლება რეაგირებს მასზე.

მთავარი და დიდმნიშვნელოვანი მაინც ის გახლავთ, რომ მოსახლეობა ვერაფრით ვერ ვეუება ცხოვრების დღევანდელ საარსებო პირობებს. ზღმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უკვე აივსო მოთმინების ფიალა და კარგა ხანია, რაც ღოღინმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. სიღატაკე, სიღუჭირე, შიმშილი **„არ თმობს პოზიციას“**. **„მაშადრ მღვდელს დიაკონიც მაშადარი ევონო“**. - უთქვამს ბრძენ კაცს და ერთი წამითაც არ შემცდარა. ხელისუფლების მგლობლეთ რომ ისეთ პირობებში უხდებოდეთ ცხოვრება, როგორშიც უპოვარნი იმყოფებიან, უფრო შეიძლება ეშველოს ხალხს. თუ გაუხადლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი ხმას არ იღებს, განვას არ ტყვავს, ხელისუფლებისადმი იმავე ხალხის მიერ ანგარიშის გაწვეთ უნდა აიხსნას, ან იმის შევნებით, რომ წვილ-კვილით სატიკვარს ვერ უშვებ.

უეჭველია მოსახლეობა მრავალი წლის ღოღინისა და ტანჯვა-წამების შემდეგ არ დასჯერდება პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას და ხელისუფლებას წაყენებს ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მოთხოვნას, რისთვისაც საჭირო მატერიალური რესურსები საქართველოში უხვად მოიპოვება, მაგრამ დღემდე ნაციონალურად კი არა, სანახევროდაც არაა გამოყენებული, ე.ი. რა გამოღის - **„გვაქვს სიმდიდრე, განვიცდით სიღარიბეს და ვერ გამოვიყენებთ იგი“**. დარწმუნებული ვარ დღევანდელი მოღუპებული მაჯისცემით, მუშაობის ყოველად უფარვისი, პასიური სტილით და მეთოდებით, ამ რესურსების მოძრაობაში მოყვანა, ამოქმედება ყოველად შეუძლებელია. ამიტომაც, არსებითად უნდა შეიცვალოს მიდგომა საგნებისა და მოვლენებისადმი, როგორც იტყვიან, ერთ მუჭად უნდა შეიკრას საქართველოს მთელი მოსახლეობა, ქართველი იქნება იგი თუ სხვა ერის შვილი, რომელსაც ქართული მიწა კვებავს და ასაზრდოებს და რაც შეიძლება მოკლე ვაღებში გადაიჭრას უკვე საკმაოდ მომწიფებული პრობლემებიც.

ამიტომაც, ხელისუფლებას, თანამემამულეებს ვთავაზობთ წინადადებას, რომ მომდევნო 2015 წელი გამოცხადდეს დამკვეთურ, მაღალნაყოფიერი შრომისა და ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლის წლად, რამაც ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოში არსებული მიდრე მიდრეული და შრომითი რესურსების ამოქმედებას და ქვეყნის, მთელი მოსახლეობის სამსახურში ჩაყენებას. **(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

სამეცხველო ბგერების წარმოშობისა და ემბრულ (იბერიულ) ენაში მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ

მართალია, გაბმულ სხსსს... ბგერას გა- მოსცემს ქვეწარმავლები, მაგრამ ბგერა ხ მათზე ხმაბაძვით არ უნდა იყოს წარმო- შობილი. სხსსს... გაბმული ს გვეხმის წარდგინას და მასზე ხმაბაძვა უნდა იყოს ს ბგერის წარმოშობის საფუძველი და ბგერა-სიტყვასაც ს(//ს,) შარდვის მნიშ- ენელობა მასზე ხმაბაძვით აქვს მიღებული.

ტ(//ტ,) ბგერა-სიტყვა ტ, იხმარება შემ- დევი მნიშვნელობებით: 1. ტ, (ცური, ჯიქა- ნი). 2. ტ, (ტოვა). მაგ., ღორთიანი კონიქ, ნათელი კვალი დი-ტ, (ღვთისნიერმა კაცმა ნათელი კვალი და-ტოვა); 3. ტ, (არხინა). მაგ., გიორგიქ, მაკაღე ღურას გინა-ტ, (გორგომი მეფობარი სიკვდილს გადა-არ- ჩინა); 4. ტ, (ტევა). ლეხიქ, ბრელი წვალე- ბაში უკული შური გო-ტ, (ავადმყოფმა ბგერი წვალეების შემდეგ სული განუ- ტევა); 5. ტ, (შვა). მაგ., ბაღანაქ, ხეილირი ხოჯი გოუ-ტ, (ბავშვმა დამწვევადული ხარი გაუ-შვა).

როგორც ვხედავთ, იმის მიხედვით, თუ რომელ უმნიშვნის ირთავს ძირისეული ფორმა ტ, მდებარეობს სხვადასხვა მნიშ- ენელობას, ხოლო იგი ირთავს რა ყველა უმნიშვნის, გვაძლევს მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას. ეს აღრიცხული არა აქვთ უემოსხვებულ ავტორებს.

რაც შეეხება ტ ბგერის წარმოშობას, იგი უნდა წარმოშობილიყო ხელის მტე- ნების ურთიერთ შემოკერის დროს მიღ- ბულ ბგერათა კომპლექსზე ტ, ხმაბაძვით. აქედანაა მიღებული სიტყვა ტაში (ტ,ში, პირდაპირი თარგმანი ტ,სი). იმის გამო, რომ ტ, ბგერათა კომპლექსს გამოსცემს თათების შემოკერა, ალბათ, ამიტომ შედის სიტყვის მტეგანი შემადგენლობაში ბგერა ტ. ხოლო, რადგანაც ძირისეულ ფორმას ტ, აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა, ანუ ომონიმი, შესაძლოა, აღნიშნულ კომპლექსს გამოსცემდეს სხვადასხვა რეალობები და მათზე ხმაბაძვით ჰქონდეს მას მიღებული სხვადასხვა მნიშვნელობები, მაგრამ იბე- რიული (ე.წ. მეგრული) ენის მიერ სა- ხელმწიფო ენის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ იყოს მივიწყებული.

ფ(//ფ,) ბგერა-სიტყვა ფ, იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ფ//ფა (ფენა); 2. ფ, (იფუღა). მთიულურ კოლში გვაქვს სიტყვა ფული (ფულიე ფულიე ფ,, რე), რაც დუღილს ნიშნავს. ბგერა-სიტყვა ფ, მე-3 პირის ხმნაა და ირთავს რა ე.წ. მეგრულ ენაში არსებულ ყველა უმნიშვნის და მრავალ სუფიქსს, გვაძლევს მრავალ სხვა- დასხვა მნიშვნელობის სიტყვას, რაც გა- მორჩათ შვიდტომეულის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა“ ავ- ტორებს.

ბგერა-სიტყვა ფ, წარმოშობილია წყლის დუღილის დაწვეების დროს გაღებულ ბგე- რათა კომპლექსზე ფ,, ხმაბაძვით და ამიტომაც მიიღო იდუღა-ს მნიშვნელობა. ამ კომპლექსის ემფაზიის გარეშე წარ- მოთქმისას მიიღება ბგერა ფ.

ქ(//ქ,) ბგერა-სიტყვა ქ, იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ქ, (ფქვა). მაგ., ჯგებში წისქვილქ, სიმინდი ჯგ,რო ქ, (ჯგებს წისქვილმა სიმინდი კარგად ფქვა); 2. ქ, (ქნა). ი-ქ, (იქნა). მაგ., ოსქალეს ფრთხი- ლას, ვარა ფსქა ქუგანამუ დო მუს იქ, თიწკა? (საფუტკრეში ფრთხილად, თორემ ფუტკარი გიკბენს და რას იქნა იხამ) მამონი).

ძირისეული ფორმა ქ, შვიდტომეულის ავტორებს განხილული აქვთ. ის მე-3 პირის ხმნაა და ირთავს რა იბერიულ (ე.წ. მეგ- რულ) ენაში არსებულ ყველა უმნიშვნისებს და რიგ სუფიქსებს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას.

მაგრამ შვიდტომეულის ავტორები აღ- ნიშნავენ, რომ „ქ, მხრისეული ფორმის წარმოშობა დასაზუსტებელია“, ე.ი. მათთვის გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღო ძირისეულმა ფორმამ ქ, ფქვას მნიშვნელობა.

ცხადია, ძირისეული ფორმა ქ, წარმო- შობილია მას შემდეგ, როცა ადამიანმა დაიწყო ქვის იარაღების დამზადება. უნდა ვიფარყოფოდით, რომ ქვის ხანაში, როცა პირ- ვედაყოფილი ადამიანები ქვის იარაღებს ამზადებდნენ, უფრო ბასრი და მჭრელი რომ ყოფილიყვნენ, საჭირო ხდებოდა მათი ზედაპირის გაპრიალება, რაც ქვების ურ- თიერთ ხახუნით მიღწეულა. ბუნებრივია,

ამ დროს გაიგონებდნენ ბგერათა კომპ- ლექსს ქ, -ქ, -ქ, , და ა.შ. ამ დროს მი- დებოდა მსხვილი ქვის მასისგან წვრილ- მარცვლებიანი ქვიშა და ამ პროცესზე მი- ბაძვით ისწავლა ადამიანმა მარცვლეულის დაფქვა-დაქუცმაცება.

მარცვლეულის მოპოვება და მისი დაფქ- ვა-დაქუცმაცება საკვებად გამოსაყენებლად შორეული წარსულიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, მაშინ ეს პროცესი პრიმი- ტიულად ხდებოდა და მარცვლის მოპოვე- ბაც ბუნებაში არსებული ენდემური ჯიშე- ბიდან წარმოებდა (აღსანიშნავია, რომ ხობლების ენდემური ჯიშის მხოლოდ კავ- კასიაშია ნაპოვნი).

სამეგრელოში ჩემს ბავშვობამდე შე- მორჩა პატარა დოლაბებიანი ხელის წისქ- ვილები, რომლებიც სიმინდის მსხვილი მარცვლების რამდენადმე დამტრევის შემ- დეგ, ზედმიწევნით დაქუცმაცებისას, პე- რიოდულად გამოსცემდნენ ბგერათა კომპ- ლექსს ქ, -ქ, -ქ, , ასეთივე ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ ხელის კოფესაქ- ვით მუშაობის პროცესში. მსგავს ბგე- რათა კომპლექსს გავიგონებდა პირველყო- ფილი ადამიანი იმ უძველეს ხანაში და, უძველესი, აღნიშნულ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით იქნა მიღებული ძირისეული ფორმა ქ, (მესამე პირის ხმნა) და ამიტომ მიიღო მისი ფქვა-ს მნიშვნელობაც (ბქიო/ფქიო-ქი-ქ, , ქართ. ფქვი-ფქვი-ფქვა). ქ, -სგანაა მიღებული იბერიული ქუა, ქუა- დან კიდევ ქართული ქვა. ქ, [კომპლექსის ემფაზიის გარეშე წარმოთქმით კი მიღებულ იქნა ბგერა ქ

დ(//დ,) ბგერა-სიტყვა დ, [,] იხმარება იდო-ს მნიშვნელობით, მაგრამ იდო-ში შიტი- ლება მიღებაც მოეპოვებოდა და გა-ღებაც. ბგერა-სიტყვა დ, მე-3 პირის ხმნაა და ირ- თავს რა ყველა უმნიშვნისებს და რიგ სუ- ფიქსებს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას.

შიდტომეულის ავტორებს განხილული აქვთ და მიუთითებენ, რომ „ძირისეული ფორმა დ, [,] ხმაბაძვითა“-ო, მაგრამ არ აკონკრეტებენ რა რეალობა გამოსცემს აღნიშნულ კომპლექსს, რატომ მიიღო დ, ბგერათა კომპლექსმა იდო-ს მნიშვნელობა და რის საფუძველზე წარმოიშვა ბგერა დ.

დ-დ-დ... ბგერათა კომპლექსს გამოს- ცემს ღორი. ამიტომაც მიიღო მან ეს სა- ხელწოდება (დ, რე ღორე ღორი); დ, , ბგერათა კომპლექსს გამოსცემს ძაღლიც. ამიტომ მიიღო მან სახელწოდება ჯოღორი (ძაღლი// ჯღ, რე წვეს დ არის). ძაღლს, როცა რაღაც არ მოსწონს, ჯერ წოლელა იწყებს დ, ბგერათა კომპლექსის გაღებას, ღრენას. ამიტომაც ეწოდა ჯოღორი (ჯღ, რე) ძღ, რე ძაღ, რე ძაღ, ლე ძაღ, ლი ძაღლი. ალბათ, ამ ცხოველების მიერ გაღებულ ბგერათა კომპლექსზე ხმა- ბაძვით და ამ კომპლექსის ემფაზიის გარეშე წარმოთქმით მივიღეთ სამეცხველო ბგერა დ. ხოლო, რაც შეეხება ძირისეულ ფორმას დ, [,] (იდო) და მის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, ესეც ხმაბაძვით იქნა მიღებული. კონკრეტულად, ამ ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ ხის მორის ან სხვა გარკვეული საგნის თრევით გადაადგილებისას. სწო- რედ, ამიტომ მიიღო დ, ბგერათა კომპ- ლექსმა იდო-ს მნიშვნელობა.

ყ(//ყ, [,]) ბგერა-სიტყვა ყ, იგივე, ძირი- სეული ფორმა ყ, (იყვლა) კარგად აქვთ განხილული შვიდტომეულის ავტორებს. ყ, ბგერათა კომპლექსს გამოსცემენ შე- დარებით სუსტი არსებები (ქათამი, ბაყაყი, თიკანი, ბავშვი...), მათზე ხმაბაძვითა და შემდგომ მისი ემფაზიის გარეშე წარ- მოთქმით შეიძლება სამეცხველო ბგერის ყ წარმოშობა. მაგრამ ყ ბგერის წარმოშო- ბაზე შვიდტომეულში არაფერია თქმული.

შ(//შ,) ბგერა-სიტყვა შ, იხმარება ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობით: 1. შ, (სველი); 2. შ, (ახსოვს); 3. შ, (შოვა, კიშოვა) მაგ., გონას მუთ უღუნე მუში შრომათ ი-შ, (გონას რაც აქვს თავისი შრომათ ი-შოვა); 4. შ//შ, (აშვა); მაგ., გენოქ, ვასოწკა ბრელი და-შ, (გენომ ვასოსთან ბგერი და- აშვა); 5. შ, (ქსოვა). მაგ., დედაქ, დართი დო კაბა დომი-შ, (დედამ ჩოხა-ახალჯიხი მომი-ქსოვა).

შიდტომეულის ავტორებს შ, ბგერათა კომპლექსი კარგად აქვთ განხილული და მიუთითებენ, რომ „ძირისეული ფორმა

ხმაბაძვითა“-ო, მაგრამ არ აკონკრეტებენ რა რეალობა გამოსცემს ამა თუ იმ მნიშვნელობის შ, ბგერათა კომპლექსს.

გაბმული შშშშშ...-თი გვეხმის მდინარის ხმა გარკვეული მანძილიდან, გაბმული შშშშ...-თი გვეხმის თავსხმა წვიმის მოახლოება გარკვეული მანძილიდან. მათზე ხმაბაძვით მივიღეთ სიტყვა შ, და ამ რე- ალობების მიერ გამოწვევი შესაძლო მდ- გომარეობის სახელდება სველი (შ, , + რე შ, რე ს, რე სუერე სუელე სუელი სველი).

რის საფუძველზე მიიღო შ, ბგერათა კომპლექსმა ახსოვს, იშოვა, და აშვა-ს მნიშვნელობები, ჯერჯერობით, ჩემთვის გაურკვეველია და დასადაგენია. ხოლო ვისაც გამახვილებული აქვს სმენა, შეუძლია, მოუსმინოს ობობას მუშაობის პროცესში, როცა თავის ქსელს აბამს და გაიგონებს გაბმულ შშშშშ, კომპლექსს. მასზე ხმაბაძვით მივიღეთ სიტყვა შ, ქსოვას მნიშვნელობით. აქედან უნდა იყოს მიღე- ბული სიტყვა ქსოვა [ქ, შ, , , (ქნა შ, ,), ქშ, აქ ქს, აქ ქსოვა ქსოვა].

ჩ(//ჩ,) ბგერა-სიტყვა ჩ, იხმარება ექვსი სხვადასხვა მნიშვნელობით: 1. ჩ, (აჭამა). მაგ., დიდაქ ბაღანეფც ოტკუმალი ჩ, (დედამ ბავშვებს საჭმელი აჭამა); 2. ჩ, [,] (საუბრა, საუბარი). მაგ., სტუმარქ ბრელი ახალი აბშეშე ი-ჩ, (სტუმარმა ბგერ ახალ აბშეშე ი-საუბრა); 3. ჩ, (კბინა, [უ]კბინა). მაგ., ჯოღორქ ქ-ჩ, (ძაღლმა უ-კბინა); 4. ჩ, //ჩუ (ინახა). მაგ., საბუთები საიმედო დო-ჩუ (საბუთები საიმედოდ შე-ინახა); 5. ჩ, (სცა). მაგ., დუღკონიქ არბას მუშუში საქმე მე-ჩ, (თავკაცმა ყველას თავთავისი საქმე მი- სცა); 6. ჩ//ჩუ/ჩუნ (თუშა). მაგ., ოსურქ ღუმუ ქჯ, რო დ-ჩუნ (ქალმა ღომი კარგად მო-თუშა).

როგორც ვხედავთ, ექვსივე მნიშვნელო- ბაში ძირისეული ფორმა ჩ, მე-3 პირის ხმნაა, ირთავს იბერიულ ენაში არსებულ ყველა უმნიშვნისებს და რიგ სუფიქსებს და გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშ- ენელობის სიტყვას. მაგრამ ბოლო მე-6 მნიშვნელობის გარდა, გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღო ბგერა-სიტყვამ (ძირი- სეულმა ფორმამ) ჩ, აღნიშნული მნიშვნე- ლობები.

შიდტომეულის ავტორებს კარგად აქვთ განხილული ძირისეული ფორმა ჩ, და მიუთითებენ მათ ხმაბაძვით წარმოშობაზე, მაგრამ არ მიუთითებენ რომელიმე მნიშ- ენელობით ჩ, კომპლექსის გამღებ რეალო- ბებს. უძველესი, ყველა მათ სხვადასხვა გარკვეულ რეალობებზე ხმაბაძვით უნდა მიეღოთ ეს მნიშვნელობები, მაგრამ ჩ, ბგერათა კომპლექსის გამღები რეალობები დაუდგენელია.

ხოლო თუშა-ს მნიშვნელობით ჩ, ბგე- რათა კომპლექსი ჩაისახა თუშის პრო- ცესში გაღებულ ჩ, , კომპლექსზე ხმაბაძ- ვით.

სამეცხველო ბგერა ჩ კი მიღებულ იქნა ჩ, , კომპლექსის გამღებ რეალობებზე ხმა- ბაძვით და ამ კომპლექსის ემფაზიის გა- რეშე წარმოთქმით.

ც(//ც,) ბგერა-სიტყვა ც, იხმარება შემ- დევი მნიშვნელობებით: 1. ც, (ხის ერთეული სახე); 2. ც, (სცა პატივი, მიავო პატივი), პა- ტივი ც, (პატივი სცა); 3. ც, (ცვივლა). დო- ც, (და-ცვივლა). ცნც// ცნც, (ცვივა).

ჯერჯერობით გაურკვეველია, რის სა- ფუძველზე ეწოდა ხეს ც, და რის საფუძ- ველზე მიიღო ც, ბგერათა კომპლექსმა სცა-ს მნიშვნელობა.

რაც შეეხება ც, ბგერათა კომპლექსის მიერ ცვივლა-ს მნიშვნელობის მიღებას, წვრილმარცვლოვანი მასალა (ხორბალი, მუხუდო, სიმინდი და ა.შ.), როცა გარკვეული სიმაღლიდან ცვივა გავიგონებთ ც-ც-ც-ც ც... ბგერათა კომპლექსს და მასზე ხმა- ბაძვით ეწოდა ამ პროცესს ც, , რომლის ემფაზიის გარეშე წარმოთქმის ცდისას მივიღებთ სამეცხველო ბგერას ც.

აღსანიშნავია, რომ ც, ბგერათა კომპ- ლექსი ცვივლა-ს მნიშვნელობით ირთავს იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაში არსებულ ყველა უმნიშვნისებს და რიგ სუფიქსს, რაც ზემოხსენებულ ავტორებს გათვალისწინე- ბული არა აქვთ შვიდტომეულში.

ძ(//ძ,) ბგერა-სიტყვა (ძირისეული ფორმა) ძ, იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ძ, (ძვეს, დევეს). მაგ., საზოთო მარაგი საიმედო

ადვილც, ძ, (საზამთრო მარაგი საიმედო ადვილას ძვეს); 2. ძ, (ძოვა). ძნც, (ძოვეს). ძნა (ძოვნა). სიტყვიდან ო-ძნა-რე (სა- ძოვა-რი) წარმოშობილია დღეს მეგრულში ხმარებადი სიტყვა ოდიარე (ოდინარე ოდინარე ო-ძნა-რე), რაც საძოვარს ნიშნავს. სიტყვა ძნა, ასევე, ნიშნავს დება-საც.

გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღო ძირისეულმა ფორმამ ძ, ძვეს (დევეს) მნიშ- ენელობა. ხოლო, ცხადია, ძოვა-ს მნიშვნე- ლობა ძირისეულმა ფორმამ ძ, მიიღო მინ- დორზე ცხოველების მიერ მწვანე ბალახის ძოვის დროს პერიოდულად გაღებულ ბგე- რათა კომპლექსზე ძ, რძ, რძ, .. ხმაბაძვით. ამ ბგერათა კომპლექსის ემფაზიის გარეშე წარმოთქმის მცდელობისას მიიღება ბგერა ძ.

წ(//წ, [,]) ბგერა-სიტყვა (ძირისეული ფორმა) წ, იხმარება ხუთი მნიშვნელობით: 1. წ, //წო (წივლა). ორბიქ, ქიმიო წ, (ორბა მია-წივლა); 2. წ, (იწია). მაგ., ჯგ,რი მოსავალი მი-წ, (...კარგი მოსავალი მო-იწია); 3. წ, (ეწია). მაგ., გონას მეზობე- ლეფქ, ჯგ,რო შე-წ, (გონას მეზობლები კარგად შე-ეწია); 4. წ, (ღვარა). მაგ., გულა დაზიანებული ყოფერე დო გიორგის ღვინქ, დოუ-წ, (გულა დაზიანებული ყოფილა და გიორგის ღვინო და-ეღვარა); 5. წ, (წოვა). მაგ., გინქ, ჩხოუ გე-წ, (ხბომ ძროხა მო- წოვა).

გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღო წ, ბგერათა კომპლექსმა იწია და ეწია-ს მნიშვნელობები, ხოლო დანარჩენი სამი მნიშვნელობა მიღებულია ორბის მიერ, ღვინის დაღვრისა და ძროხის წოვის დროს გაღებულ ბგერათა კომპლექსზე ხმაბაძვით. წ ბგერათა კომპლექსის ემფა- ზიის გარეშე წარმოთქმისას მიიღება წ ბგერა.

ჭ(//ჭ,) ბგერა-სიტყვა ჭ, იხმარება ხუთი მნიშვნელობით: 1. ჭ, (ჭა). ინცქა (სიდრეში ჭა); 2. ჭ, (ნაწლავი); 3. ჭ, (კერა). მაგ., მოხ- ელექ, ქული დო-მი-ჭ, (ხელოსანმა ქული შემო-კერა); აქ ჭ, მე-3 პირის ხმნაა და ირ- თავს რა ყველა უმნიშვნისებს და მრავალ სუფიქსს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას; 4. ჭ//ჭუ (წვა). მაგ., ბესოქ, წვადეფი დო-ჭუ (ბესომ მწ- ვადები შე-წვა). სიტყვა ჭ, აქაც მე-3 პირის ხმნაა და ირთავს რა უმნიშვნისებს და სუ- ფიქსებს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას; 5. ჭ, (წვლა). მაგ., ართი კონიქ, იფრელც ვაგან-ჭ, (ერთი კაცი ყველაფერს ვერ გა-წვლა). ზოგი რამ კი, მაგრამ ძირისეული ფორმის ყველა ეს მონაცემი შვიდტომეულის ავტორებს გათ- ვალისწინებული არა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სახელდება ჭ, ჭა-ს მნიშვნელობის გარდა, რის საფუძველზე აქვთ მიღებული ზემოაღნიშნულ მნიშვნე- ლობებს, გაურკვეველია. ხოლო ჭამ სახ- ელდება ჭ, მიიღო კენჭის, ან სხვა მკერვი პატარა საგნის მიწისქვეშა ვერტიკალურ ღრმულში ჩაგდების დროს გაღებულ ბგერ- ათა კომპლექსზე ჭ, , ხმაბაძვით. ამ კომ- პლექსის ემფაზიის გარეშე წარმოთქმის მცდელობისას შეიძლება მიგველო ბგერა ჭ.

ხ(//ხ,) ბგერა-სიტყვა ხ, იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ხ//ხე (ხის); 2. ხ, (შვა). მაგ., თხაქ, ქაცარი ხ, (თხამ თიკანი შვა). როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ბგერა-სიტყვა ხ, მე-3 პირის ხმნაა და ირ- თავს რა ყველა უმნიშვნისებს და რიგ სუ- ფიქსს, გვაძლევს მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას. აქაც ბგერი რამ კი, მაგრამ ბგერი კიდევ გაუთვალისწინებე- ლი დარჩათ შვიდტომეულის ავტორებს.

კშპშრი ფიფია, „გაზისისა“ და „აიას“ საერო- სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე- პრეზიდენტი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კოლეგია ფრიალ აქტუალურ საკითხებზე

სტორიკოსი – ს. საბას მიხედვით ფუტე გახლავთ ავი კვამლი. ლახ. ოფუტე სახელ-კარის შემოგარენია. საინტერესოა, რომ ერთის მხრივ კვამლი და კომლი ურთიერთკავშირშია, ხოლო, მეორეს მხრივ, ფუტე დიალექტური სახეობაა მეგრ. ფატი – ოდესღაც მცენარეული ადგილის მნიშვნელობის მქონე სიტყვისა (იხ. გვ. 96). გარდა ამისა, ფუტე, მარცვალია დის-პოზიციის შემთხვევაში – ტი-ფუ, ასევე დიალექტური სახესხვაობაა მეგრ. თი-ფუ >...-ი-ვა“-სი. არის ასეთი მცენარე – მა-ფატი-ა. ის შედარებით სუსტი სარეველია, ამიტომ კარგად ხარობს მხოლოდ საკარმი-დამო ნაკვეთებზე. ასე რომ საცხოვრისისა და სამეურნეო თუ სხვა მცენარეთა უძვე-ლეს ერთიანობაში მოაზრება სახეზეა.

ფსიქოლოგი – ავტორის მიხედვით, ყორ კვების მნიშვნელობის უძველესი ძირია. მეგრ. ლა-ყორ-ია – „საკვები ადგილი“ ძე. ქართ. ნა-ყორ-ოვანება\სხ. ქართ. ნა-ყრ-ოვანება და ნა-ყრ-ის «მცირე საჭმელი» ძირია ყორ. (ყორ>ყრ).

ზემოთ ფატი ფუტე და ა. შ. ბევრჯერ მოვიხსენიეთ. ფუტე + ყორ გვაძლევს – ფუტ-ყარ სიტყვას. იგი ხომ მცენარეთა ყვავილებით ნექტარით იკვებება. აქაც უადრესად ნიშანდობლივი აზრობრივი მი-მართებებაა.

აზტორი – ხორ ძირი სლავურ ენებშიც (და არა მარტო...) ხშირად ფიქსირდება: ქართ. ხორ-ბალი-ი//მეგრ. ქო-ბალი-ი და სლავური ხლ-გუბ შედარება ცხადყოფს: ეს უკანასკნელი, ქართულია გამარტივებითაა მიღებული, ხ(ორ)-ბალი>ხლგუბ. ხოლო რაკი დ-ხორ//თ-ხორ თ-ხორ//თ-ხილი აშკარაა, წინ რა დაუდგება იმას რომ სლავური ო-რეს „ნივთი“ – ო-ხორ-იდან, ხოლო ა-რახ-ის „მიწის თხილი“ ო-ხორ-ის-იდან იყოს მიღებული.

ფიზიოლოგი – „დილექტანტიური შენიშე-ნა“: ქართ. ხორ-ბალი-ი//მეგრ. ქო-ბალი-ი უცხადესია. მაშ, ქო-ბული-ეთი ხორ-ბული-ეთი-დან ყოფილა: მკ. ქო-ბული-ეთის და ადვანთის დედაქალაქ ქა-ბული-ს მსგავსი – ქა-ბული-ქა-ბული ფუტე ანათესავებთ.

ნათიანისძე – ეს აბსურდული... ერთი ენის მონაცემებს თუ მოვიძიებთ სხვა მრავალთაგანში, მათთან ყოველთვის მოგვხვდება სასურველ მსგავსებებს.

სტორიკოსი – საქმე ეხება უძველესი მიწათმოქმედების (10-15 ათასი წელი) პე-რიოდს და მის წინარე საწყის ეპოქებს. ვსვამ კითხვას: მეურნეობის ამ დარგმა თუ კლდითა და მესამომარტაიმადე მოახ-ერხა ეპიგრაფიკა, რატომღაც და უძველესი იგივე სხვა მიმართულებითაც?...

არქეოლოგი – მითუმეტეს რომ საქმე ეხება მდინარის სახელს, როგორც იტყვას, ... მდ. რიონი (ასევე ენკური, სხვა მდინა-რეები და მათი შენაკადები ე. ი.) ხელს უწყობდა ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას. (ო. ლორთქიფანიძე დ. ნ). ვიზიარებ „აკადემიურ მტკიცებულებას“ ავტორისას, რომ პირველყოფილი მიწათ-მოქმედება მდინარეთა ნაპირებზე მერე ანუ ჭაღა ადგილებში ვითარდებოდა (ეს იმიტომ რომ ეს მიწები სველი, ნოყიერი და ადვილად დასამუშავებელია). ხოლო ქალაქი ქაბული კი მდინარე ქა-ბული-ის ხეობაშია გაშენებული ამიტომ ქართ. ხორ-ბალი-ის ჰიდრონიმი (მდინარის სახელი) ქა-ბული-ის მნიშვნელობით ამოსავალი.

ნათიანისძე – ეს გახლავთ ნ. მარის მსოფლიო მაშტაბით იაფიერებ (ქართველური) კულტურის ემიგრაციის თეორიის რეაბილიტაციის მცდელობა. მა-გარა ეს ხომ მსოფლიო მეცნიერების მიერ დაგმოხილია, როგორც ყოველგვარ სა-ფუტყელთანობას მოკლებული.

სტორიკოსი – არავის გაანია უფლე-ბა ზერულად და ნიაპილისკენ მიუკიდოს ფუტე ქართველურ ენებს. განსაკუთრებით მეგრულსა და სვანურს რომლებმაც, საბე-ნიეროდ აქამდე მოაღწიეს, ახლა კი, ამ 21-ე საუკუნეში, საუბელურად გადაშენება ეშუაქრება... ასევე – ავტორისეულ ფაქ-ტობრივ მასალას, რა მასალაც, სამწუხაროდ ნ. მარს არ გააჩნდა. მაგრამ მარის მეც-ნიერული სიდიადე სწორედ იმაშია. რომ მან ზემოთაღნიშნული თეორია ამ მონაცემ-თა გარაშეც იქნა წარმეტყველა.

ანტიროლოგი – ჯერ არს ახალი მიდგომით, ახლებული აზროვნებით მიუვლ-გეთ ქართველურ ენობრივ თანხვედრებს მსოფლიო ენობრივ სივრცეში.

ნათიანისძე – სიტყვათა ეტიმოლო-გია მაცდური რამ გახლავთ: მომყავს დამთხვევები, რომლებმაც, დასაშვებია, მც-დარი დასკვნებისკენ გვიბიძგონ: 1. ბაღდადი ერაციის დედაქალაქის სახელია. საქართველოშიც არის ამ სახელის ქალაქი; 2. ავტორის მიხედვით, – ტოპ. ხეთა(სა)მეგრელი(შია)=ხერ-თა//ხორ-თა=საცხოვრებელი ადგილი; ხეთ-ები ინ-დოევროპელთა წინაპრები არიან;

3. ავტორისავე მიხედვით სახელი ლომ-ი მიღებულია რორ-ი//რომი-იდან (იხ. გვ.95). რომი იტალიის დედაქალაქია;

4. მეგრ.სა-ბონი-ი „საბანაო“ (იხ.გვ.40); მეგრ. ლი-სა-ბონი-ი „საბანაო ადგილი“. მდინარისპირა ლისაბონი პორტუგალიის დედაქალაქია;

5. ქართ. ძლოკვი გახლავთ იგივე ანკარა. თურქეთის დედაქალაქის სახელი გახლავთ ანკარა;

6. მედეა=მიდია=სპარსეთი. გარდა ამისა საქართველოს სამხრეთი მხარე – სპერ/სასპერი (ძე.წ.ად.V-ს. პეროდოტე) და სპარსეთი სპანი/ესპანი-ეთი სახელთა მსგავსება სახეზეა;

7. ხურ-იტ-ები წინა აზიის მცხოვრე-ბლები არიან. ავტორის მიხედვით, მეგრ.ხურ-ო-თა//ხორ-ო-თა=საცხოვრებელი ადგილი. და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ეს ხომ ყოველგვარ „აკადემიზმს“ მოკლებული სიტამაძეა, რადგან ყველა ამით სხვა ახსნადობა გააჩნიათ. მაგ. ტოპონიმები საქართველოში – ბაღ-დადი და ცვეკვის სახელი ბაღ-დადი-ურთაქლის თაგსაბურავის სახელ ბაღ-დადი-თან ერთადაა საქართველოში ერაციის ბაღდადიდან, სადაც ამ თაგსაბურავს ამზადებდნენ, მიგრირებული. თავად სახელი ბაღ-დადი სპარსულია – ბაგ „დმერთი“+დადი „ნაობქი“.

აზტორი – ეს უკანასკნელი ვერსია, ამ-ჟამად, უარყოფილია (აღფნობი, ფოფხაძე, შელია და სხვები). ბაღ-დადი ძე.ქართ. ბაბილო სახელითაა ცნობილი. ბაბილო/ბიბლი-ის ერთერთი მნიშვნელობა უსურვაზია. ბაბილო-ს უკავშირებენ სახელს ქალაქისა ბაბილო-ნი, რასაც ბაღ-დადი ამოწმებს: ქართ. ბაგ-ა ახალი ვენახია, ხოლო მეგრ. დადის (იხ. ქვემოთ) ერთერთი მნიშვნელობა უფროსია. მ.ე. ტოპ. ბაბი-ლო-ნის ამოსავალი მნიშვნელობა თუ უსურვაზია, ბაღ-დადი მეგრ.\ ქართ. კომ-პოზიგია და = დიდი ახალი ვენახია.

ფსიქოლოგი – საქმე გვაქვს სისტემურ თანხვედრებთან. საინტერესოა, რას უწუებთ ამგვარ „აკადემიურ“ ახს-ნადობას?...

აზტორი – საყრდელთაოდ ცნობილია, რომ ეტიმოლოგიაში მთავარია უძველესი ამოსავალი მიდგომარობა: მაგ. სპ.ბაგ,სლ.ბოგ, ი.ე.გოთ//გოდ სიტყვათა გოგლს. დ წარმომავლობისაა (იხ. ქვემოთ). თუმცა არც დამთხვევები გამორიცხული და არც უზუსტობანი.

სტორიკოსი – ერთ-ერთი ვერსიით, წარმომავლობით, სპარსელები ამიერკავკასიელები არიან. უძველეს ის-ტორიაში კი კავკასია მხოლოდ კოლხეთად მოიაზრება (კ.შელია და სხვები).

არქეოლოგი – ხორა-სანიარისხორა „საცხოვრისი“-სანი. ე.ი. სპარსეთში მცხ-ოვრები ხორასნები, ერთ დროს კოლხები იგივე სახები ანუ ჭანები იყვნენ. ხოლო სპარსელები, როგორც უკვე ითქვა სპერები გახლდნენ. მკ. ხურ-იტ-ებიც ასიმილირებული კოლხები თუ იყვნენ.

აზტორი – გ. გიორგაძის ხეთების ტერ-იტორიის რუკაზე თითქმის ყველა ტოპონ-იმის სუფიქსი ქართველურია (იხ. ქს.ე. გვ. 454).

სტორიკოსი – სლავურ ენებში ქართ. სა-სახელე//მეგრ. დო-ხორ-ეს მსგავს ნაგე-ბობას. ხორ-ო-მას ედახიან. ამის გარდა მომდერადათა ანსამბლს ხორ-ო-ვა-ია ქეია. პირველის შესახებ თუ რას ფიქრობენ ვე-რაფერს გეტყვით. მეორე-ხორ-ო-ვა-ია კი ბერძ. ქორო „მომდერადათა ანსამბლი“-დან მიანიხილ წარმომავალი.

აზტორი – დიახ, რადგან სრულიად უგულვებელყოფილი აქვთ კოლხ. ხორ ძირი. განსაკუთრებით ეს ეხება „საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის ცეკვას“ ხორ-უმ-ი//ხორ-ონ-ი (უმ//ონ<ურ//ორ).

ანტიროლოგი – სლავური ხორ-ო-ვა-ია>ბერძ. ქორო, ქორეო-გრაფია და ა.შ. ქართვ. ხორ-უმ-იდანაა, რომელიც პირვე-ლყოფილი თემური წყობილების დედასეული გვარის – ო-ხორ-ის წვერთა ჯგუფური ცეკვა სიმღერებიდან ლებულობს საწყისი და შემდგომ მატრიარქატ-პატრი-არქატში განვითარებული და დღემდე მოღ-წეული სრულყოფილი შედეგობა.

ფსიქოლოგი – საბოლოო ჯამში, კოლხ. ხორ-უა//დო-ხორ-ეს ხორ ძირთან პოულობენ ერთიან ამოსავლიანობას სლავური ხორ-ომ-ა ქართვ. ხორუმ-ი>სლავ. ხორ-ო-ვა-ია>ბერძ. ქორო აქედანგვა, რო-გორც შემდგომი აბსტრაქციების ნაყოფი,

ქართ. ხორვა <(ხორ-ო-ვა), ხორა (ხორასი), ხორა-ხორა, ზედა ხორა,ხორ-ომი (და ა.შ.) და სლავური ხორომ „ერთადა“.

აზტორი – ხორ ძირი სლ. ზმნაშიც არის დაფიქსირებული. მაგ. მეგრ. თ-ხორ-უა//ქართ. თ-ხორ-ა(ხრ<ხარ) და სლ. პო-ხორ-ონი „დასაფლავება“, ხორ-ონით საფლავის გათხრა.

მეგრ. თ-ხორ-ილი, ხორი «ორმოს» შესატყვისია ქართ. ხარი, რომელიც ძვე-ლად მარცვლეულის შესანახად გამოიყენე-ბოდა. ამიტომ,ხარო\|ხორო და თ-ხორ-ილ-იდან სრულიად სარწმუნოა, მეგრ. სუ-ფიქსით გაფორმებული ხორ-ოში „ხედმიწ-ხორ, იგივე ხარო-სითვის განკუთვნილი მნიშვნელობის მქონე ანუ რჩეული, ხვრი-შისებური მარცვლეულის აღმნიშვნელი ტერმინის წარმოქმნა. ამის დამოწმებაა მეგრ. ხორ-ინ-აფილი „სინესტე-ლბობა შეპ-არული მარცვლეული.“ სწორედ ორმოში – ხორო ანუ ხარო-ში ფუტყდება მარ-ცვლეული ამნარიად.

რაც შეეხება, სპარსულად მიხნულ ხორა-გის, არ ვიცი, რა უპოვეს ამ სიტყვას არაქართველური, ძირი თუ აფიქსი?... იგივე ითქმის სლ. ხორ-ში „კარგის“ შესახებ, ოღონდ, ეს უკანასკნელი, წმიდაწყლის მეგრ. სიტყვაა და ხორ-ში – ორმოსთვის განკუთვნილს ანუ ორმოში შესანახს აღნიშნავს.

ანტიროლოგი – აი, თურმე რატომ შემორჩა ხორ-ოში > ხერ-ოში ქართულს მსხვილი მარცვლების აღმნიშვნელად. მ. ე. სლ. ხორ-ში „კარგი“ კოლხური სიტყვა ყოფილა. უზუსტესად კი ეს სიტყვა იმ დროიდან იღებს სათავეს როცა ქართველები და სლავები ერთიადიგივე ხალხები იყვნენ.

ფსიქოლოგი – მარცვლეული საკვებია, ამიტომ პოზიტიური ემოციების ამდგერ-ლია. ორმოში შენახული მარცვლეულის, სწორედ, ამ თვისების კრონიკულულ ნიშნად – ხოროში „მარცვლეული, საკვები“ > „კარგი“ განყენება განხორციელდა.

ენათმეცნიერი – კარგი სომხური ნას-ესხობაა. სომხები კი ინდოევროპელები გახლავან

აზტორი – უახლოეს სამეზობლოს – იმდაგვარს ჭირში და ღიხში რომ ერთად არიან, მეგრულად სამოხსო ეწოდება. აქედანაა სახელწოდება სომხეთი. სომხითი ანუ სამოხსო-თი იმ დროის სახელია, როცა სომხეთის მთიანეთი, ისევე როგორც სრულიად კავკასია, საკუთრივ კოლხეთი იყო.

სტორიკოსი – აღნიშნული თანხე-დრებისა და სხვა ავტორისეულ ფაქტთა მონაცემების საფუძველზე უკვე შეიძლება თამაშად ითქვას: ინდოევროპელი ხალხები მ. ე. სომხებიც კოლხები იყვნენ, ოღონდ გააჩნია ვინ როდის...

არქეოლოგი – სანამ არმენები და ჰა-იაკები (აიას\სპაია) მოვიდოდნენ, სომხეთის მთიანეთში ოთხი კოლხური ტომი სახლობ-და.

აზტორი – მცენარეთა აღქმასთან დაკავშირებულ დადებითი ემოციების გამოხატვა, თავდაპირველად, ე ბგერის ალო-მორფებით ხდებოდა: ქართ. ნა-ყარ-ი, ამო-ნა-ყარ-ის ყარ ძირი იძლევა კარ კომპონენტს ქართ. სიტყვისა კარ-გი, ხოლო მეგრ რგი-ლი < რგი-რი, შესაბამისად, იძლევა მეგრ. ჯგირი „კარგის“ (იხ. „გ.თ.“ გვ.147).

ქართ. მეგრ. ხარ-ება პოლისემიური: კონქ გეხარ//კაცმა გაიხარა და ფაქ გეხარ//მცენარემ გაიხარა, ცხადია, ერ-თიადიგივე არაა, მაგრამ მცენარის გა-ფურქვენა-გახარება > ადამიანის გახარება აბსტრაქციები სრულადაა

ფსიქოლოგი – უძველესი, მცენარის გახარება პოზიტიური ემოციების აღმდგერ-ლია. მცენარე არამდეთუ ესთეტიკური ტა-პობის ობიექტია, არამედ, რაც მთავარია, საკვებია. ამიტომაცაა ძე. ქართულში კარ-ვის, სიკეთის ეპითეტებად – ნერვი კეთილი, ნახარდი, რგული და ა. შ. აქ მცენარის ხარებასა და ადამიანის დადებ-ითი ემოციების გამოხატველ ხარებას შორის ისეთივე მიმართებებია როგორც მეგრ.ხოროში „ორმოს მარცვლეულსა“ და სლავური ხოროში „კარგს“ შორის.

ფილოლოგი – პატონებს ამ მაგა-ლითებში უძველესი ყოფითი სიბრძნე და ნატურალური ესტეტიკა მხეხავით კაშაშებს.
ნათიანისძე – ხორ ძირის

ქოროლოგიური ხანდაზმულობის თვალ-სახრისით, საინტერესოა, რომ ა. ნიჭიანაცამ მეგრ. ოხორი > ო-ჯახი და ო-ხორა-სკირი (ოხორ + სკირი «ვაკი») = ზედმიწ-„ოჯახის ვაკი“. დღევანდელი მნიშვნელობით მახლი, ქვისლი მატრიარქატის დროინდელ ტერმინად ჩათვალა.

ანტიროლოგი – მატრილოკალური ქორწინებისას, როცა ვაკი დასახლდა საცო-ლის გვარში, გაჩნდა ამ გვარის ვაკის ჩა-სიძებულისაგან გამომჩვევი ტერმინის აუცილებელი საჭიროება.

აზტორი – ზემოთქმულთან კონტე-ქსტში, პარადოქსია, ო-ჯახის თურქ. ნას-ესხობად მიხნევა. შუა აზიის სტეპებიდან მოსულ თურქებს იქ ლახები დახვდათ, რომელთა ო-ხორის ორეული ო-ჯახ-ია, როგორც მნიშვნელობით, ასევე აგე-ბულებითაც. საინტერესოა, რა „აკადემიურ“ საფუძვლიანობით დადგინდა, რომ იგი არც მეგრულია და არც ლახური, მაინ-ც(ადამიანც თურქულია?... ეს მაშინ როცა ო-ხორ > ო-ჯახ ცვლილებებს (ხორ> როხ > ჯოხ>ჯახ) წინ არა ელოდება რა. აი, როგორ იქმნაღება ნ. მარის მიერ წინასწარმეტყველებული „ქართვ. ელ-მენტები“ სხვა ენებში.

ნათიანისძე – ო-ჯახი სხვა ად-მოსავლურ ენებშიც ფრიად გავრცელე-ბული სიტყვაა. ამიტომ, მისი კოლხ-ურობა, ასე ხელმოსმით, ვერ დამტკიცე-ბა

აზტორი – ქართველოლოგიას, განსაკუთრებით კოლხოლოგიას ვადანაშაულებ არა თუ კოლხურის არ-ცოდნა-შეუფასებლობაში, არამედ, პლიუს ამას, მეცნიერული იმიჯის შეღავათს შიშით, საკითხთან, უზშირესად, კაპიტლიანტურ მიდგომაში: საერთო ლექსიკის არსებობა, განსაკუთრებით უძველეს ცივილიზაციის ხალხების ენებთან, ქართველურში ნას-ესხობის შედგად ითვლება.

ფიზიოლოგი – როგორცა ჩანს, მეც-ნიერთ ეს ადვილად გასდით...

აზტორი – მარტო ზემოთავეში დასახ-ელებულ და ოჯახი, ოხორი, ოხორასკირით არ ამოიწურება მატრიარქატული სიტყვების ქართველური მარაგი, დაკავშირებული მა-ტრიარქატული გვარის დასახლებასთან. ესენი არიან: ქართ. დია-სახლის უდრის დია + სახლის უდრის დია 1. „ დიდი, 2 „ბევრი, 3 მეგრ, სვ. დედა, + სახლისი = ოჯახის/სახლის დედა ანუ ოჯახის უფროსი; მეგრ. გვარი და არქაული თანამდებობრივი წოდება – და-და = და + დია „დიდი“ ანუ „უფროსი“ = და (ქალი) + უფროსი ანუ უფროსი ქალი; იგივეა მეგრ. სვ. დადი/დადე „დიდ ბებია“ (<დია-დია);

ფაქტი, რომ დია = დიდი (უფროსი) და დია = დედა//ქალს აშკარად მატრი-არქატზე მიანიშნებს. მ. ე. დია-ცი < დია-ში იმ დროინდელია (ცი < ჩი< ში). როგორც ვხედავთ, მატრიარქატ-პატრიარ-ქატში ქართველური სიტყვები სრულ-ფასოვნადაა გაფორმებული. ახლა კი დაუბრუნდეთ იმ უტკას როცა ქვის იარაღის დამზადების პიონერმა—ჰომო ხაბილისმა 700 სმ. კუბი თავის ტვინიოწ, ყ და სხვა ერთეული ბგერებით და ბგერათკომპლე-ქსებით აკუსტიკური გამომხატველობის მქონე საგან-მოვლენათა სახელდებები მოამთავრა (2 მლ. წ) და ასპარეჟე გამოდის გამართული ადამიანი — ჰომო ერექ-ტუსტი.

ანტიროლოგი – „იგი გამოჩნდა 1,75 მლ. წლის წინ... ქონდა დიდი მოცულობის ტვინი (900 სმ3)... განსახლებული იყო თითქმის მთელ დედამიწაზე... ამზადებდა სხვადასხვა სანადირო იარაღს, სარგე-ბლობდა ცეცხლით... შესაძლოა გამოიგონა პრიმიტიული ენა...“ (იხ. ჯილდ ბეილი, ტ. სედლერი „ისტორიამდელი სამყარო გვ. 147. ოქსფორდი).

ბიოლოგი – წინამორბედთან შედარებით, გამართული ადამიანის თავის ტვინი მთელი ორასი სმ. კუბით გაიზარდა.

აზტორი – უფლება გვაქვს ვთქვათ: ეს მოხდა, უპირატესად, სამეტყველო პირ. რ-ბის ხარჯზე. ამ დროისათვის ფიზიორე-ფლექსოგენურ, ხმაბაძვით-რეფლქსოგენურ და ინდიფერენტულ – ხმაბაძვით ნიშან-თვისების ხმაინობათა მქონე საგან-მოვლენათა სახელმდები, იგივე აკუსტიკური თვისებების ბ. და ბკ-ები დახარჯულია. მ. ე. აკუსტიკურ ეფექტს მოკლებულ მოვლე-ნათა სახელდებდა უნდა მოხდეს იგივე ნიშანთვისებების არმქონე (აკუსტიკური ეფექტის არმქონე). და ბკ-ებით.

ფილოლოგი – მაგრამ საჭიროა დამოწმება: ამგვარ მაგალითებს თუ დავასახელებთ, აქვე კონტექსტში მოცემულ მოსაზრებათა სისწორე დასაბუთდება.

სახალხო მოძრაობა „სამმზებროს“ ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა სოსუმადან დენილი ერთნული მოძრაობის წარმომადგენელი რევაზ (რეზო) რაფაზა და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

შეიშვენილი და ამაღლი კეთილი პაციის შეიშვენილია

წერილი ეძღვნება ჩვენს უძველეს მომხრეს, სახალხო მოძრაობას „სამეგრელოს“ წევრსა და აქტიურ მხარდამჭერს, მწერალს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქუთაისის ერთ-ერთ თვალსაჩინო კოლორიტსა და ღირსეულ მოქალაქეს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს წევრს, ჯემშიაძე კოლხის ბატონ ალაშხანაძემ შენაძინა, რომელმაც ახლახან იხიმა დაბადებიდან 80 წელი.

წინათქმას ეს სახელი შეგარკვი და ისე წარუგმდგარე თვალსაჩინო პოლიტოლოგის, პროფესორ ოთარ ჯემშიაძის ესხეს, რამეთუ მან ამ ესხეთი არა მარტო ჩემი, არამედ საზოგადოება „ქუთაისელში“ საგანგებოდ შეკრებილთა საერთო შეხედულებაც გამოხატა ქუთაისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე შენგელიას საიუბილეო თარიღთან – 80 წლისთავთან და მისი მორიგი ახალი წიგნის წარდგენასთან დაკავშირებით. არადა, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორის, ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ფრად საპატივცემულო ჟურნალისტის, ბატონ როლანდ ჯალაღანისაგან პირადად მე ქონდა დავალებული საიუბილეო და შემოქმედების საღამოს შესახებ რეპორტაჟის მომზადება და როცა ამ დავალებას მაძღვედა, ხაზგასმით მითხრა, გენდობი, როგორც მის შვილიშვილს და იმ ახალგაზრდას, რომელსაც უკვე გაქვს ელექტრონულ და ბეჭდურ მედიასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება.

ბეჭდურისა რა მოგახსენო! სხვადასხვა გაზეთში, მათ შორის „ილორში“ ორიოდე სტატია მართლაც მაქვს გამოქვეყნებული, რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, ბატონ როლანდი, ალბათ, იმას გულისხმობდა, რომ ამის „მცდელობაც“ მქონდა, ოღონდ ძალზე დიდი ხნის წინათ, იმ დროს, როცა საბავშვო ბაღში სწავლისას ჩემმა აღმზრდელმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა, ტელეარტ „რიონის“ საბავშვო გადაცემათა იმდროინდელმა მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ლია გვენეტაძემ საგანგებოდ გამწვრთნა ინტერვიუს ასაღებად, ბაბუაჩემის, გაზეთ „ქუთაისის“ ყოფილი მთავარი რედაქტორის მისაღებამდე მიმავლა და მიკროფონით ხელში ტელეკომპარტორთან ერთად მის კაბინეტში შემეშვა.

დღევანდელი დავალება მაინც სულ სხვა არის, მით უფრო რომ დღეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელი კი არა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ და მსურს საფუძვლიანად დაეფუფო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ჯემშიაძის მამის – დიმიტრი უხნაძის განწყობის თორიანს, რადგან უამისოდ წარმოუდგენელია არა მარტო ოცნება, არამედ იმის გაფიქრებაც კი, რომ ქვეყნის მეოთხე ხელისუფლებას ახლოს გაეკარებო. პოდა, ამ ფიქრებით დამძიმებული ვუსმენ ჩემი ქალაქის ჯემშიაძე დარბაზისკენ – საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტს, საქართველოს მწვერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარეს თემურაზ ლანჩავას; მეცნიერს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ტელეკომპანია „რიონის“ გენერალურ დირექტორს, პროფესორ თამარ ღვინიაძეს,

იმ სასიქაღლო ქალბატონს, რომელიც ღირსეულად განაგრძობს მამის – შოთა ღვინიაძის (ცნობისათვის, ჩემი ერთგული მეგობრის, რომელთან ერთადაც 15 წელიწადი ვიმუშავე გაზეთ „ზარია ვისტრკაში“ – როლანდ ჯალაღანია), ადრე წასული მეუღლისა და ვაჟის – ბადრი და გიგა კაპიტევიძეების წამოწვევულ დიდ მამულშიველურ საქმეს – ელექტრონული მედიით სიკეთის სამსახურს; ჩემს ბაბუაზე 5 წლით უმცროს მის კოლეგას, იპოლიტე ხეიფას სახელობის იუმორის აკადემიის დამფუძნებელსა და თავკაცს, ბადრი კაპიტევიძის სახელობის სატელევიზიო კლუბის პრეზიდენტ ბენია თხილავას, რომელიც 15 წლის განმავლობაში უკვე 750-ე ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამით წარსდება ტელემაჟორებელთა წინაშე და ჩემი ღრმა რწმენით ზემოქმედის გამო ნამდვილად იმსახურებს გინესის წიგნში შეტანას; მრავალმხრივ შემოქმედს თემურაზ ძიძიგურს, რომელმაც მრავალ სხვა დაუვიწყარ ქველმოქმედებასთან ერთად დააფინანსა და იუბილარის რედაქტორობით გამოცა ვაჟა ჯვინიას საქვეყნოდ ცნობილი წიგნი „სიცილის კარდებრამა“ და იუბილარის პოეტური კრებული და ამ გამოცემის გარეკანსაც დაატყო თავისი კეთილი ხელი იმ კომპოზიციითა და პორტრეტით, რომელშიც ამჟღავნებს; საზოგადოება „ბაღის კიდის“ თავკაცს ზურაბ ქაჯაიას, ქართული სპორტის მუხეუმის დირექტორს ზურაბ ჯავახიძეს, ცნობილ ქალაქმშენებელს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ოთარ ჩიხლაძესა და ქუთაისის სხვა საპატიო მოქალაქეებს.

საიუბილეო შემოქმედებით საღამოზე ქალაქის თვითმმართველობის სახელით სიტყვით გამოვიდა და იუბილარს სამასსოფრო საჩუქარი გადასცა მერიის კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა და განათლების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილემ ელისო ქაროსანიძემ. ჟურნალისტური ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა გაზეთ „ქუთაისის“ ვებგვერდში თანამშრომლებმა – პოეტმა ციტრა შალაშვილმა, ნუნუ მანაძემ, ლელვა ცეცაძემ, ახალგაზრდა ჟურნალისტმა ქრისტინე მანაძემ და პოეტმა ირმა ქურასბუღიანიძემ, რომლებმაც ამასთან ღრმა სინანული გამოთქვეს, რადგან გაზეთი „ქუთაისის“, რომელიც თითქმის 50-ათწლიანი ტირაჟით იბეჭდებოდა, „თბილისის“, „სოფლის ცხოვრების“ და ათობით სხვა გაზეთის მსგავსად უკვე ვეღარ გამოდის. ვერ დავმაღლე გული სიამაყით მეგობრობადა, როდესაც ვუსმენდი ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის თავკაცის, მრავალი აკადემიის, მათ შორის ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის წევრის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის ავთანდილ ნიკოლეიშვილის იმ შეფასებას,

რომელიც ღრმა ანალიზის გაფუძვლზე მისცა იუბილარის მიერ გამოცემული საიუბილეო წიგნის ლექსიკას, მრავალფეროვან, კონკრეტული განწყობილების სუსტად შესატყვის რიტმს, მისეულ მიგნებებს, შედარებებსა და ორგინალურ რითმებს. სამწუხაროდ, ამ შთაბეჭდავი სიტყვის ჩაწერა ვერ მოვახერხე, ჩემი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, რომელიც ამ მიხედვით შევახერხე არჩევანი მს-

ოლოდ ბატონ ოთარ ჯემშიაძის იმ გამოსვლაზე, რომელიც ზეპირად კი არ წარმოთქვა, არამედ დაწერილი წაკითხა და ამით გამაძვირდა, მხრებიდან მომეხსნა უმძიმესი ტვირთი, რომელიც ყოველთვის უხერხულობად ახლავს უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანზე საქვეყნოდ საუბარს. ამიტომ ვანდობ მკითხველს, გულწრფელად განმხადოს, თუ რამდენად მართალი ვარ, როდესაც ჩემთვის უადრესად პატივსაცემი „ილორის“ რედაქტორის დავალება ასეთი ფორმით შევასრულე და იუბილარის ჯემშიაძე ღირსეული შემოქმედების ამსახველად და შემფასებელ ერთ-ერთ ძირითად საყრდენ ბოძად სწორედ პროფესორ ოთარ ჯემშიაძის ზემოხსენებული და ამჟღავნებ უკვე სამსახურზე გამოტანილი სიტყვა მივიხინო.

ანა საპანელიძე

მეორეკურსული სტუდენტი მისთვის ოცნებური საუბრის აღამიანია!

სიტყვის თქმა იოლია, მაგრამ ქალღმერთს მისი შეჩერება – ძალზე ძნელი, რადგან ნათქვამი გაფრინდება და შეიძლება მეხსიერებიდან გაქრეს კიდევ, ქალღმერთს გადატანილი სიტყვა კი საუკუნის შემდეგაც შეგახსენებს თავს და ნათქვამზე პასუხს მოთხოვს. ამიტომ სიტყვა ვიდრე შენთანაა, შენა ხარ მისი მბრძანებელი, მაგრამ როგორც კი ბაგეს გასდევს, შენ თვითონ ხდები მისი მონა და მორჩილი და ვერასდროს დააბრუნებ საწყის მდგომარეობაში. ამის გამო არის საჭირო, რომ აზროვნების სამუხრუჭე მექანიზმი ისე გაქონდეს აწყობილი, სიტყვამ წინ ვერ გადაგასწროს და მერე გაუახრებლად ნათქვამის მონად არ გაქციოს.

ამაზე შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას. დღევანდელი ჩვენი იუბილარისათვის, რომელიც ხან ბეჭდურ და ხანაც ელექტრონულ მედიასში ესათუებოდა და ესათუებოდა სათქმელს, არასდროს გაუსწრია სიტყვას და ეს იმიტომ, რომ ფურცელზე გადატანამდე რამდენჯერმე შემოუვლის თითოეულ მათგანს და მანამდე არ მოეშება, ვიდრე არ მიუჩნის სასურველ და ღირსეულ ადგილს.

სიტყვის ეს გამანადვილი, ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ბატონი ალექსანდრე შენგელია მრავალმხრივი შემოქმედი – პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა და ორგინალური ხელწერის მწვერალი, რაც ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურდა დღეს ჩვენს წინაშე წარმოდგენილი საიუბილეო კრებულით, რომელიც საოცრად „მორგებულ“ სათაურითაც იქცევს მკითხველისა და განმკითხველის ყურადღებას, რამეთუ გვაუწყებს, რომ წიგნში დანერგულია „მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას თქმული ლექსები“.

ამბობენ, მოაზროვნე ადამიანები ადრე ბერდებიანო. საბედნიეროდ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ბატონ ალექსანდრეზე, რომელიც 80 წლის ასაკშიც ჭაბუკური ენერგიით გამოირჩევა და აზროვნება შესაშურად ახალგაზრდულად აქვს. ეს არა მარტო მის პოეზიაზე თქმის, არამედ მის სარგდაქტორს და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზეც. მქონდა ბედნიერება, რამდენჯერმე მენახა

და დავკვირებოდი, როგორ მუშაობდა იგი, როგორც რედაქტორი.

უსწრაფესად გააღვივებს თვალს როგორც საკუთარ, ისე სხვის ნადვალს და არა მარტო იმ აზრს, რომელსაც ავტორი გამოთქვამს, არამედ ფაქტობრივად ყველაფერს, რაც ამ აზრის წარმოსაჩენად არის გამოყენებული, ხელუხებლად ტოვებს. თითქმის არაფერს შეცვლის, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას გადაანაცვლებს, ადგილს საუკეთესოს შეურჩევს, მოხდენილ და მშვენიერ გარემოს მოუძებნის და უკვე ხედავ, რომ სტატიის ზემოქმედებით ძალა სულ სხვა ხდება, ისევე იცვლება, როგორც დილოსტატი მხატვრის მიერ ფერტილოზე დადებული თითქმის შეუმჩნეველი ფერი ან შტრისი, რომელიც უსახურ გამოსახულებას უღამაზესად აქცევს ხოლმე.

არც მე და არც ჩემი თაობის რომელსამე წარმომადგენელს არასოდეს დაგვაუწყებია მისი ავტორობით დარისხებული კაკაბეთის ზარების ექო და ამ გადაცემის ძალზე შორს მიმავალი შედეგები. არასდროს დაგვაუწყებია თანაგუნდელთან ერთად რამდენიმე ათეული წლის წინათ მისი ავტორობით ცისფერი ეკრანიდან ნანახი „რისხით შეკრული მუშტი“ და „მივლინება ჯოჯოხეთში“, რომელიც იმ დიდ უბედურებაზე მოგვიტხრობდა, რაც ნარკომანი მშობლების შვილებს ეშუქრება, რადგან, როგორც ჯერ კიდევ ვენიცი ოსტანი გვაფრთხილებდა, მშობლების ცოდვა შვილებს მოეკითხება ხოლმე, ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ მისი საიუბილეო კრებულის გამოჩენამდე რამდენიმე თვით ადრე დაიბეჭდა მისივე „სათრეველები“ კრებული, რომელიც გვაფრთხილებს, რომ დროა გამოფხიჩლებისა, რათა, რაც ეროვნული და საამაყო გვაქვს, სიბილწემ და მკრეხელობამ არ გადალევოს.

დადის ბატონი ალექსანდრე ჩვენს ქალაქსა და სრულად საქართველოში და კვლავაც ბრძნულად და სხარტად გადმოგვცემს თავის სათქმელს. მკვეთრად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას საგნებსა და მოვლენებზე და თუმცა საუბრისა და კამათისას დარბაისსად იცავს ზრდილობისა და კაცურობის ყველა მოთხოვნას, მაგრამ სიმართლეს არასდროს დალატობს და, როგორც ნარკვევებსა და პუბლიცისტურ წერილებში, ისე უადრესად ორგინალურ და მაღალმხატვრულით გამოჩნეულ თავის ლექსებში გულწრფელია და საოცრად გაბედული.

საქართველოში უადრესად ბევრი იცნობს და სათანადო პატივსაც მიაგებს, მაგრამ ეს სრულად უპრეტენზიო კაცი, რომელსაც ქვეყანასა და ჩვენს ქალაქში უამრავი სიკეთე აქვს დათესილი, ისე დადის, თითქმის მიწაზე ფეხის დაბიჯებისა ერიდება.

დაე, იაროს, რომ ისევე და ისევე მრავალ გამოცდას გაუძლოს მისი აზროვნების მატარებელმა იოგებმა, რამეთუ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ქალაქსა და თითოეულ ჩვენგანს კვლავ კარგა ხანს გვჭირდება მისი პოეზიით დატკობა, პატიოსნება, ცხოვრებისეული გამოცდილება, შემართება და რისხვითი შეკრული ის მუშტი, რომელიც უკეთურობას არასდროს შეაშველებს ხელს და ამიტომ ოთხის შემდგომ მეხუთე ოცეულშიც საუკუნის ადამიანად დარჩება.

ოთარ ჯემშიაძე, პროფესორი, პოლიტოლოგიის დოქტორი, საქართველოს პოლიტიკური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მხოლოდ ხალხის მონოლითური ერთიანობა და მამულიშვილური თავდადება თუ გალაკრჩინს საქართველოს

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან) მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდში, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, გულმოდგინედ მოვეზადოთ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი, სრულად საერთო-სახალხო კამპანია წარმატებით ჩატარდეს: აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს სამოქმედო პროგრამები, გეგმები, როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული სამსახურებისათვის (სამხინტროები, რაიონული, საქალაქო და სამხარეო ორგანიზაციები, საწარმოო დაწესებულებები, სასოფლო ფერმერული მეურნეობები, ცალკეული ბიზნესმენები, ოჯახები და პიროვნებებიც კი). საუკეთესო არ უნდა იყოს, რომ ქვეყნის ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში ჩვენს გვერდით დადგებიან უცხოელი ბიზნესმენებიც, რომლებიც უკომერციული საქმიანობას ეწევიან საქართველოში.

როგორც ხედავთ, მთელი აქტუალობით და რაც შეიძლება მწვავედ დგას საკითხი, გაისმის პასუხგაუცემელი კითხვები, რა ვიღონოთ, როგორ დავაღწიოთ თავი პრობ-

ლემებს, რომლებმაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში შეიძლება ჩააყენოს ჩვენი ქვეყანა.

ისევ თქვენგან, ბატონო ბიძინა, რომელმაც წარმატებით გადაწყვიტოთ ქვეყნის უმთავრესი პრობლემა, მოველოდით, რომ ბოლომდე მიიყვანდით დაწყებულ საქმეს და ამით საბოლოოდ წარმატებით დაავიკრივებდით თქვენს ეროვნულ მისიას სამშობლოს წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. მიუხედავად შეპირებისა, თქვენგან დღესაც არ იმისი სასურველი ხმა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისევე დაუბრუნდებოდით პოლიტიკას. ასეთ პირობებში ბუნებრივია, ქვეყანამ სხვა გამოსავალი უნდა ეძიოს. მთლად ისე არ არის საქმე, როგორც ზოგიერთს გონია, თითქოს საქართველოში დღეს არ მოიძებნა პიროვნება, რომელიც სახელმწიფოს მმართველობის უმაღლეს დიგაში ვეგრდში დაუდგება ქვეყნის პრეზიდენტს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ამ ურთულეს პირობებში მარტოდმარტო ეწევა ქვეყნის წინამძღოლობის უმძიმეს

ტვირთს. თუ ვიქნებით მიუკერძოებელი და ობიექტური, საქართველოში, რომელიც სავსებით სამართლიანად ითვლება კადრების სამჭედლოდ, ასეთი ხელმძღვანელების შეჩერება არ უნდა გაგვიჭრდეს. ერთ-ერთ ასეთ სანიშნულ პიროვნებად თუ გნებავთ, გვესახება ქვეყანაში საკმაოდ ცნობილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის პოლიტიკური მრწამსი, მსოფლმხედველობა, სავსებით შესატყვისება საქართველოს, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ბატონი ალექსანდრე ბევრი სიახლის მომცემელი საკმაოდ ძლიერი ეროვნული ძალაა, რომლის შესაძლებლობანი დღემდე სრულყოფილად არ იხარჯება ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამიტომ, სასურველია გაცენოთ ბატონ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნაშრომებს, სადაც იგი შეუმცდარი ადლოთი წარმოთავადებს საქართველოს შემდგომი განვითარების პროგრამას, განსაკუთრებით კი მისი წერილების კრებულის მეორე ტომს, რომელიც ქვეყნის წინსვლისა და გამოვლიანების ორიენტირებს განსაზღ-

ვრავს. შეიძლება მრავლად არა, მაგრამ არა ერთი სახელოვანი მოღვაწე შეიძლება დასახელდეს ბატონ ალექსანდრე ჭავჭავაძისთან ერთად, რომელთა ნიჭი და მამულიშვილური შემართება, დიდად წაადგება საქართველოს. მაგრამ მაშინ უნდა გვწამდეს, რომ სახელმწიფოს სათანადო მალალი ღირსების პიროვნებათა შეჩერება, ადამიანთა მცირე ჯგუფის, მით უმეტეს ერთი პიროვნების პრეროგატივა არ არის. თუ ჩვენ ვამყარებთ დემოკრატიულ პრინციპებს, იგი მთელი საზოგადოების ღვიძლ საქმედ უნდა მივიჩნიოთ, რომ ადამიანთა ფართო მასები წყვეტდნენ ხელმძღვანელი კადრების კანდიდატურათა როგორც შერჩევის ისე არჩევის, ასევე იმ ხელმძღვანელებთან თანამდებობებთან დათხოვნის საკითხებს, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა.

ბრამიტონ კვარაცხელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი, ყოფილი საქალაქო ფუნქციონერი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანის ლევან ყიფიანი: ამ სიბინძურეში ბინდათ სახელმწიფო ფულის ჩადება?!



ლევან ყიფიანი კონტრშეტევაზე გადავიდა, რაც კლუბების მხრიდან დაფინანსების მოთხოვნას მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელმა, მიმდინარე ჩემპიონატის ნორმალურად დასრულებისთვის, სახელმწიფოსგან დაპირებული თანხა მოითხოვა (ამაზე ადრეც ვწერდით).

ვანელებს. კლუბებმა ეს უნდა გააცნობიერონ. მოთხოვნა - "ფული მომეცი" - ფეხბურთის მომავალზე ზრუნვა არ არის. მათ რომ დაეფუჯვროთ, სახელმწიფო სახსრები, განვითარების ნაცვლად, ხელფასების დარიგებას მოხმარდება და რა იქნება ამის შედეგი? არაფერი!

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ფული მხოლოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული პროგრამის საფუძველზე უნდა გაიცეს. ფული ხეს არ ასხია, ის ბიუჯეტში ქვეყნის მოსახლეობის გადასახადებით შედის. ქვეყანაში ათასი პრობლემა და არანაკლებ მწვავეც, რომელთა დაფინანსების აუცილებლობაც დასაბუთებულია.

- კლუბები ამბობენ, რომ სახელმწიფოსგან თანხის დაპირება იყო...

- დაპირება იყო, რომ პროგრამას დაფინანსებდით. სახელმწიფოს აქვს ფეხბურთის განვითარების სურვილი, მათ კი სახელმწიფო სახსრების არა პროგრამებში, არამედ ხელფასებში დახარჯვა სურთ.

გუნდების რაოდენობის გაზრდაზე გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მიიღო, ჩემპიონატის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა აიღო და არც მოისმინა, რას სთავაზობდა სახელმწიფო. გუნდების გაზრდით, ხარჯები რადიკალურად გაიზარდა.

ჩვენი პროექტის საფუძველიან შეცვლა მოისურვეს და ის პრინციპი უარყვეს, რაც ფეხბურთის განვითარებას გულისხმობდა. ჩვენ კლუბების ამ სახით დაფინანსების დაპირება არც მიგვიცია.

ახლახან კიდევ უფრო საყურადღებო ფაქტი მოხდა: მეორე ლიგაში მოასპარეხე სტუბის "დინამოს" ფინანსური პრობლემები შეექმნა. გუნდის წევრები ფედერაციაში მივიდნენ და ჩვენთან გამოუშვეს, ფული სამინისტროს მოსთხოვეთ.

რა პეკია ამ საქციელს? ეს წაქეზება არ არის? მაინტერესებს, რატომ ცდილობს ფეხბურთის ფედერაცია გუნდების პროვოცირებას, სპორტის სამინისტროსთან მათ დაპირისპირებას და დესტაბილიზაციის შექმნას? ეს ტიპური პროვოკაცია იყო და ამაზე პასუხი ყველას გაეცემა. ვნახეთ, რაც მოხდა მსაჯულებთან დაკავშირებით. მაინტერესებს, იმ ფეხბურთში სურთ სახელმწიფოს ფულის ჩადება, სადაც არც ნორმალური მენეჯმენტი, არც პროგრამა და სიბინძურესაც ვერაფერს უხერხებენ?

თეზი თავიდან მარს...

- მსაჯების დაკავებაზე რას იტყვიან? - წარმოუდგენელია, გარიგებებში 8 მსაჯი მონაწილეობდეს და დანაშაულბერივი სისტემა არ იკეთებოდეს. შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მრგება.

ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ბოლო წლებში ხალხს აღარ უყვარს ჩვენი ფეხბურთი, ინტერესი და დონე კატასტროფულად დაეცა, მშობლებს ბავშვების ფეხბურთზე შეყვანა აღარ სურთ... ვიცით, რა დღეში არიან ნაკრებები და კლუბები... ბოლო წლებში მერამდენე სკანდალი ავორდა? ეს ჩვენი ფეხბურთის სახელს არცხვენს! ამ ყველაფრიდანაც ჩანს, რომ "თეზი თავიდან მარს".

- თუშეცა ისიცა, რომ სიჭინავა გამოიძეებასთან თანამშრომლობდა და უფას მთერ მოწოდებულ რაპორტებს აწვდიდა...

- მე ვერ გავიგე, რას გულისხმობდა სიჭინავა, როცა თქვა - მნიშვნელოვანია მეორე მხარის დადგენა, ვინც მსაჯულებთან ერთად თამაშების გაყიდვაში მონაწილეობდაო. ვინ იგულისხმა მეორე მხარეში? ამ ყველაფერში საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ ამჩნევენ?

უფამ გამოგზავნა რაპორტი, სადაც გარიგებაში მონაწილე გუნდები დასახეულდა, მაგრამ მათ მხოლოდ ფულადი სასჯელები შეუფარდეს და თან, მერე შეუმცირეს კიდევ. სხვათა შორის, გარიგებისთვის მხოლოდ ნაწილი დასაჯეს.

- ეს როგორ?!

- როცა მე ამ საქმეების გამოძიებას ვითხოვ, ფედერაცია შუშა-ში ჩივის, ჩვენს საქმეებში ერევა. მაგრამ შუშა სახელმწიფოსგან სწორედ ამ საქმეების გამოძიებაში თანამშრომლობას ითხოვს. შუშა-დან რამდენი რაპორტი გამოგზავნეს და რამდენი გუნდი დაუკონკრეტეს, მაგრამ ერთი მაინც მოკვეთეს?! ეს ყველაფერი დანაშაულის წაქეზება არ იყო?

საფეხბურთო მეურნეობა მოშლილია, სისტემა დანგრეულია, ყველაფერი საკუთარ თავზე მორგეს, არაფრის შეცვლა არ სურთ და კლუბებს კი სამინისტროს წინააღმდეგ აქეზებენ. უნდა გააცნობიერონ - ფეხბურთის ახლა თუ არ ვუშვავთ, ხედავს მისკენ აღარაფერ გაიხედავს და მოკვდება. ეს მხოლოდ ყიფიანსა და ფედერაციის ხელმძღვანელებს არ ეხებათ, საუბარია ხალხისთვის ოდესღაც საყვარელ სახეობაზე. ასეთ ბინძურ ფეხბურთში ბიზნესი ფულს როგორ დააბანდებს?

თუ სახელმწიფო კლუბებს ფულს დაურიგებს, მაშინ მენეჯმენტსაც ჩვენ დავენიშნავთ. მაგრამ წინა ხელისუფლების მეთოდებზე შეგნებულად ვთქვით უარი. მათსავით, ფედერაციის პრეზიდენტს არ ვხსნი და არ ვნიშნავთ, მის საქმიანობაშიც არ ვერევი, მაგრამ ფედერაციაში ფეხბურთის განადგურებაზე მორალურ პასუხისმგებლობას გრძობენ?

- რომ არ გრძობდნენ, მსაჯების საქმიანობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს

ინფორმაციას ხომ არ მიაწვდიდნენ?

- ამის თაობაზე ირაკლი ლარიბაშვილს ორი წლის წინათ ველაპარაკე - ჯერ კიდევ მაშინ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ბოლოს აღექსანდრე ჭიკაიძესაც ვესაუბრე.

ამ ჭაობში ყოფნის სურვილი არ მაქვს

- რაზე ისაუბრეთ?

- საფეხბურთო კრიმინალის გამოძიება გრძელი და რთული პროცესია, ამას დიდი დრო სჭირდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას ამუშავებდა და გამოძიებას აწარმოებდა, მაგრამ შუშა-მ რაპორტები გამოგზავნა და ფედერაციამ დაშინაშე გუნდებს სასჯელი გაუნიხევერა. ისე გამოდის, რომ ვითარების შეცვლის ინტერესი არ აქვთ.

პრესაში დაწერეთ - უმაღლესი ლიგის მწვრთნელების 99% ამბობდა, ჩაწოებილი თამაშები არისო და ამას ფედერაციიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

იტალიაში არანაკლები ამბები ხდება, მაგრამ იქ აწვობილი სისტემა მუშაობს, გარიგებაში შემქნეულ კლუბებს სჯიან, "იუვენტუსი" სერია B-ში გააგდეს და ამიტომ არიან მაღალ დონეზე. ჩვენ კი არც სისტემა არ გვაქვს და არც - მისი შექმნის სურვილი. ამასობაში, ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელების მთელი თაობები იკარგება.

საფეხბურთო სამყარო - კლუბები, თავად ფედერაციაც სავსეა წესიერი ადამიანებით, რომლებიც ამ ჩაკეტილ სივრცეში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ვერ ახდენენ. მიზანი სწორედ ასეთი ადამიანების ხელშეწყობაა და ჩვენ მიერ წარდგენილი ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროექტიც სწორედ ამას ითვალისწინებს.

ამიტომ ვაცხადებ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფული გრძელვადიან განვითარებას, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის შექმნას, სწორ მენეჯმენტს, მწვრთნელებისა და მსაჯების გადამზადებას, სანაკრებო, საშეჯიბრო სისტემის სრულყოფას და უმთავრეს იღვას - ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა-განვითარებას მოხმარდება.

ჩვენ ამ უფარვის სისტემის დანერგვა 90-იან წლებში უნდა დაგვეწყო და დღეს სორვატებზე, ჩეხებზე და ბევრ სხვაზე ნაკლები ფეხბურთი არ გვექნებოდა. ფეხბურთელებს აღვზრდიდით და ეს იქნებოდა ჩვენი სტატუსი...

მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. პირადად მე, ამ ჭაობში ყოფნის სურვილი არ მაქვს და მის დაშრობას სიამოვნებით დაეწევ.

გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლაკრანტი ბერიას" თარგმანის მესამე ტომი



უკვე გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნის "გამრია - XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბალია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრატის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322

მამაკაცი მაღაზიაში შედის და გამყიდველ ქალს ეკითხება:

- ტრუსები გაქვთ? - არა! - არც გაყიდვაში? * * *

- გამაგიჟებს ეს ხალხი! ხალიჩა იყიდეს და ყველა სტუმარს ფეხზე ახდევინებენ. - მე რა, ასე ბევრი იქცევა. - კი მაგრამ, მათი ხალიჩა კედელზე პეილია... * * *

კახელი სანადიროდ მიდის. ზურგნათა საჭმელია და სასმელებით გაივსო. აიგინიდან ცოლმა გადასამხა: - მიხო, თოფის წაღება დაგაიწყდა! - არ დაგებუნდები, თორემ ნადირობისას ბედი არ გამოიღიბებს! * * *

- დედა, სკოლაში ყველა დიდთავას მეძახის! - ყურადღებას ნუ მიაქცევ, შეილო, ჩაიდი მაღაზიაში და 15 კილო კარტოფილი ამოიტანე. - რამე ტომარა მომეცი. - ტომარა რად გინდა, შეილო, ქუდში ჩაიფარე და ისე ამოიტანე.

სახალხო მკურნალობა მოუპოო იმი ჯარ კიდე მკურნა ნაყოფიერად ფარმაცოთიას, რომელიც მის დამიკრავს სვილოზა და კვლავ ჩადა

სალხის ჯანმრთელობის სამსახური. ღომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს აეთიისებთან სიმისეზურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნეფროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეუნრავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შევლის ცერებრალურ დაშლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიეში, C-ჰეპატიტს, ნადვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან. მეურნალის კოორდინატები: თელავში, სოფელი შალაში, ბაზნიძე ბიზიკო (ღომინტი). ტელ: 893-22-66-51

ISSN 1987-8966 ilori. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრატის ქუჩა №6, საბ.პ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია. მისივე წოდებითი რედაქტორი: ზურაბ ძოგალია 599-34-37-27. სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თინათინ კუპალაშვილი, ზვიად მიტოპია, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge